პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი სამშაბათი 4 მარტი № 53 (17696) ფასი 2 კაპ.

ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობა

4 მარტს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობა.

მოწმობა გადასცა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვ. ი. სემეშკინმა. ამომრჩეველთა სახელით მან მხურვალედ და გულითადად მიულოცა ლეონიდ ილიას ძეს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატად არჩევა. რაიონის მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს. მათ ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ მხურვალედ უჭერენ მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მრავალმხრივ და ნაყოფიერ საქმიანობას.

მოწმობის მიღებისას ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, ახლა უკვე როგორც რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, მადლობა გადავუხადო მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს. მე დიდად ვაფასებ მათ ნდობას.

ჩვეულებად იქცა, რომ ჩვენს ქვეყანაში არჩევნები სრული ერთსულოვნების ვითარებაში მიმდინარეობს. და მაინც მინდა ხაზი გავუსვა საბჭოთა ხალხის შეკავშირებას — თვალსაჩინო მოვლენას, ჩვენი დიდი სიამაყის საგანს.

პარტია არასოდეს დასჯერებია მიღწეულს, არასოდეს არ მიუჩნევია, რომ მისი ავტორიტეტი ერთხელ და სამუდამოდ არის მოპოვებული. ამიტომ ვისწრაფვით დღეს გუშინდელზე მეტი გავაკეთოთ, ვიშრომოთ მეტი ნაყოფიერებით ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩვენს ხალხს არა აქვს იმაზე უფრო მაღალი და სასიცოცხლო ინტერესები, ვიდრე მშვიდობის უზრუნველყოფა, ვიდრე კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა. კომუნისტური პარტიის მთელი პოლიტიკა, მთელი მისი პრაქტიკული საქმეები სწორედ ამ ინტერესების უზრუნველყოფას ექვემდებარება.

გმადლობთ, ამხანაგებო, ყურადღებისათვის, კეთილი სიტყვებისათვის!

მოწმობის გადაცემას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, პარტიის ქალაქ მოსკოვის ბაუმანის რაიკომის პირველი მდივანი ს. ა. კუპრეევი.

(საკდესი).

სურათზე: რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩევის მოწმობის გადაცემის დროს.
საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 59-ე წლისთავის გამო

აღმავლობის გზით, ოქტომბრის გზით

ვ. კობახია,
აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

აფხაზეთის მშრომელები საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ ავტონომიურ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 59-ე წლისთავს. დროის თვალსაზრისით შორეული, მაგრამ ჩვენი გულისა და გრძნობისათვის ახლობელი გაზაფხულის დღე — 1921 წლის 4 მარტი შემობრუნების დღე გახდა, რომელმაც ძირეულად შეცვალა მრავალტანჯული მხარის ბედი.

სამგზის ორდენოსანი აფხაზეთის მშრომელებს, რომლებიც მაღალ შედეგებს აღწევენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობებს, წყვეტენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანებს.

ყოველი ჩვენგანის შთაგონებას, შემოქმედებითი ენთუზიაზმის უდიდესი მოზღვავება, ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაზე პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვისათვის დიდი მადლიერების გრძნობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებებმა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ.

განვლილი ოთხი წლის მანძილზე ავტონომიურ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის წარმოება ხუთჯერ გაიზარდა, საშენი მასალებისა და სამშენებლო ინდუსტრიის ნაწარმისა — 66 პროცენტით, მსუბუქი და სამკვებო მრეწველობის პროდუქციისა — შესაბამისად 20 და 14 პროცენტით.

ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში თითქმის ერთნახევარჯერ გაადიდეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების მოცულობა, ციტრუსებისა და ბოსტნეულისა — 4-ჯერ, სიმინდის მარცვლისა — სამჯერ და მეტად.

არნახულ განვითარებას მიაღწია აფხაზი ხალხის კულტურამ. შეიქმნა მეცნიერებისა და კულტურის მთელი რიგი ახალი დაწესებულებები, ხორციელდება განათლებისა და კულტურის შემდგომი განვითარების, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი.

აფხაზეთში განათლებისა და კულტურის განვითარების გზაზე მართლაც რომ საეტაპო ღონისძიებანი ხორციელდება ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესასრულებლად. ამასთან დაკავშირებით საკმარისია დავასახელოთ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, ორი ახალი ჟურნალის დაარსება, სოხუმის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივების ბაზაზე — აფხაზური და ქართული სახელმწიფო დრამატული თეატრების შექმნა, პრესის სახლის მშენებლობის დაწყება და ა. შ.

აფხაზეთი სულ უფრო ცნობილი ხდება, როგორც სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერა, საბჭოთა ადამიანებისა და საზღვარგარეთელი მეგობრების დასვენების საყვარელი ადგილი.

აფხაზეთის მშრომელებმა დიდი სიყვარულით აღიქვეს ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა ზედიზედ მეშვიდედ დაჯილდოვდა საკავშირო გარდამავალი დროშით.

მაღალი შეფასება მიიღო აფხაზეთის მშრომელთა წვლილმა. ამ შესანიშნავ გამარჯვებაში სოციალისტურ შეჯიბრებაში 1979 წლის შედეგების მიხედვით აფხაზეთის ასს რესპუბლიკა გამარჯვებულად ცნეს და დააჯილდოვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მეგობრობისა და ძმობის დაუვიწყარ დღესასწაულად იქცა საქართველოსა და აფხაზეთის შემოქმედებითი ახალგაზრდობის შეხვედრები, აფხაზური მუსიკის დღეები თბილისში, აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობის მემორიალის საძირკვლის ჩაყრა ზუგდიდის რაიონში და სხვა ღონისძიებები.

აფხაზეთი საბჭოთა ხალხების ერთიან მონოლითურ რაზმში მტკიცედ მიდის წინ ოქტომბრის გზით, აღმშენებლობის გზით.

დავძლიოთ კერძომესაკუთრული ტენდენციები, დავამკვიდროთ კომუნისტური მორალის ნორმები

1980 წლის 28-29 თებერვლის სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თბილისში

თბილისში 28-29 თებერვალს გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევა სოციალისტური ცხოვრების წესის, კომუნისტური მორალის ნორმების პრინციპების საყოველთაო დამკვიდრების წანამძღვარია", რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწვია, რესპუბლიკის პოლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა. მან განაზოგადა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად, რომელმაც დასაბამი მისცა უკომპრომისო, პრინციპულ ბრძოლას რესპუბლიკის ცხოვრებაში, ადამიანთა ქცევასა და შეგნებაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ლენინური პრინციპებისა და პარტიული ცხოვრების ნორმების აღდგენისათვის, ყოველ კოლექტივში, მთლიანად რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ამასთანავე კონფერენციამ განსაზღვრა ძირითადი გზები და მიმართულებანი, სტრატეგია კერძომესაკუთრულ ტენდენციებზე შემდგომი შეტევისა, რომელიც სოციალისტური ცხოვრების წესის, კომუნისტური მორალის ნორმების პრინციპების საყოველთაო დამკვიდრების საწინდარია.

კონფერენცია გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

ამხანაგებო!

დღეს მუშაობას იწყებს რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ეძღვნება კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის პრობლემას, რაც სოციალისტური ცხოვრების წესის, კომუნისტური მორალის ნორმების საყოველთაო დამკვიდრების წანამძღვარია.

მაგრამ იმისათვის, რომ შევიმუშაოთ კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის მეცნიერულად დასაბუთებული გზები და საშუალებები, ცხადია, საჭიროა თავდაპირველად გავაანალიზოთ ამ ტენდენციების წარმომშობი მიზეზები, მივაგნოთ მათს სათავეს, გავამშვლოთ მათი ფესვები, ესეც ჩვენი კონფერენციის ამოცანაში შედის.

კონფერენციის მონაწილეებმა კარგად იციან, რომ ჩვენ ამ ღონისძიებისათვის დიდხანს და გულდასმით ვემზადებოდით. და ეს, ალბათ, სავსებით ბუნებრივი და სავსებით კანონზომიერია. ასეთი დიდმნიშვნელოვანი და ასეთი რთული პრობლემების მეცნიერულ გააზრებას დრო და ღრმა დამუშავება სჭირდება.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ კონფერენციის სამზადისი მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მისი მოწვევის გადაწყვეტილება მივიღეთ. გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ თემაზე მეცნიერული და პრაქტიკული სჯა-ბაასისათვის (ჩვენს კონფერენციას ტყუილად როდი ეწოდება სამეცნიერო-პრაქტიკული) ჩვენ, თუ მთელი სიცოცხლე არა (როგორც იტყვიან ხოლმე), ყოველ შემთხვევაში იმ დროიდან ვემზადებით, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო თავისი ცნობილი დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე. ამ დადგენილებით გამომჟღავნებულ ბევრ ნეგატიურ მოვლენას ხომ სწორედ კერძომესაკუთრული გამოვლინებები, მეშჩანური ბაცილით მოწამლული ადამიანთა ერთი ნაწილის მომხვეჭელური ფსიქოლოგია უდევს საფუძვლად.

ამრიგად, დღეს ყველა საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ, რომ კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა, მათი თანამიმდევრული, გამიზნული და განუხრელი დაძლევა აქამდე იდგა მთელი ჩვენი პრაქტიკული, ორგანიზატორული მუშაობის დღის წესრიგში. ეს ამოცანა წითელ ზოლად გასდევს ყველა ჩვენს ღონისძიებას, მთელ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემუშავებულ ბევრ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. ამა თუ იმ ასპექტით ეს პრობლემა ჩვენ აღვძარით თითქმის ყველა პლენუმსა და აქტივის კრებაზე, დიდი ყურადღება დაეთმო მას საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე.

და მაინც ყალრესად საჭიროა საგანგებოდ განვიხილოთ, ვიმსჯელოთ კერძომესაკუთრული ტენდენციების პრობლემის ყველა ასპექტზე.

ეს საჭიროება ნაკარნახევია, ჯერ ერთი, იმით, რომ კერძომესაკუთრული ტენდენციები, ისევე როგორც წარსულის სხვა გადმონაშთები, კომუნისტური მორალის ანტიპოდები, ძალზე გამძლეა. აქ მინდა შევახსენოთ ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომლებიც დიდი ოქტომბრის გამარჯვებიდან ცოტა ხნის შემდეგ გვაფრთხილებდა, რომ კომუნიზმი უნდა ვაშენოთ „ადამიანთა მასობრივი მასალისაგან, რომელიც გაფუჭებულია საუკუნეებისა და ათასწლეულების მონობით, ბატონყმობით, კაპიტალიზმით, წვრილი დაქუცმაცებული მეურნეობრიობით, ყველას ომით ყველას წინააღმდეგ ბაზარზე ადგილისათვის, პროდუქტის ან შრომის უფრო მაღალი ფასისათვის".

კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეს, მოგეხსენებათ, წინ ვერ წასწევს, თუ თვით ადამიანი ყოველმხრივ არ განვითარდება. ხოლო იმასთან ბრძოლა, რასაც ჩვენ ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთებს ვუწოდებთ, — ეს არის საქმე, რომელიც, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, მოითხოვს პარტიის, ჩვენი საზოგადოების მთელი შეგნებული მოწინავე ძალების მუდმივ ყურადღებას.

მეორე, კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის პრობლემა — ეს არის საბჭოთა საზოგადოების შემდგომი იდეურ-პოლიტიკური შეკავშირების პრობლემა, მისი მონოლითურობის განმტკიცების პრობლემა, რომლის მნიშვნელობაზე ამ ცოტა ხნის წინათ, ასე დამაჯერებლად ილაპარაკა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა აშკარად გამოხატული კლასობრივი ხასიათისაა. და ეს არაერთგზის აღგვინიშნავს ხაზგასმით ჩვენს გამოსვლებში, დოკუმენტებში.

და დღეს, როცა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის განსახილველად გამოგვაქვს, ჩვენ ამით ერთხელ კიდევ ვუსვამთ ხაზს, თუ რაოდენ საშიშია ისინი კლასობრივი თვალსაზრისით და რაოდენ მავნეა სოციალურად. ჩვენ კარგად გვესმის, რა ზიანს აყენებს კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია ჩვენი რესპუბლიკის, და არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. მომხვეჭელობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები ხომ თვით ჩვენი წყობილების არსს ეწინააღმდეგება. მსგავსი მოვლენები რომ არა, ჩვენ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი, კიდევ უფრო საგრძნობი წარმატებები გვექნებოდა. მაგრამ ისიც, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე მოვიპოვეთ, მიღწეულია იმ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაჩაღებულ ძნელ და შეუპოვარ ბრძოლაში, რომლის მთავარი სუბიექტური, სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზი, როგორც უკვე მოგახსენეთ, კერძომესაკუთრული ტენდენციები, კერძომესაკუთრული ფსიქიკაა.

მესამე, ჩვენი კონფერენცია მართლზომიერი და აქტუალურია იმიტომაც, რომ იგი კიდევ ერთხელ დაადასტურებს, რომ კერძომესაკუთრულ ტენდენციებთან ბრძოლა არამც და არამც არ ეწინააღმდეგება პარტიის კურსს — ხალხის კეთილდღეობის ყოველმხრივი გაუმჯობესების კურსს. პირიქით, ეს ბრძოლა პარტიის ამ საპროგრამო მიზნის მიღწევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. აქ საჭიროა გავარკვიოთ მთავარი: კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ჩვენს ბრძოლას საერთო არა აქვს რა ასკეტიზმისა და „ყაზარმული კომუნიზმის" ქადაგებასთან. არადა, სწორედ ასე ცდილობენ საქმის წარმოსახვას თვით კერძომესაკუთრული ტენდენციების მატარებლები და ისინი, ვისაც მარქსისტულ-ლენინური თეორიის ასავალ-დასავალი ვერ გაუგია.

როგორც ცნობილია, ჩვენ ბევრს მივაღწიეთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, და, როგორც კვლავ დაადასტურა ლეონიდ ილიას ძემ ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება იყო და არის მთელი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის და პარტიის მთელი პოლიტიკის მთავარი მიზანი. ჩვენ კვლავაც თანამიმდევრულად გადავწყვეტთ ამ ამოცანას, როგორც ეს სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, მაგრამ ამავე ყრილობაზე მიეპყრო ყურადღება იმას, რომ მატერიალურ შესაძლებლობათა ზრდას ნიადაგ უნდა ახლდეს ადამიანთა იდეურ-ზნეობრივი და კულტურული დონის ამაღლება, თორემ სხვადასხვა შეიძლება მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივები მივიღოთ.

აი, რატომ აღვნიშნავთ განსაკუთრებით ხაზგასმით, რომ ჩვენი ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ სულაც არ ნიშნავს ბრძოლას, საერთოდ საკუთრების, კერძოდ მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ, რომ ეს არ არის საბჭოთა კონსტიტუციით დამკვიდრებული ადამიანის უფლებათა ხელყოფა, როგორც ამის წარმოსახვას ლამობენ ჩვენი ბრძოლის აზრისა და მიზნების დამახინჯებით აშკარად დაინტერესებული ადამიანები.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, კომუნისტები იბრძოდნენ და იბრძვიან არა სახელდობრ საკუთრების, მათ შორის პირადი საკუთრების, არა იმ მატერიალური დოვლათის წინააღმდეგ, რომელიც საზოგადოებრივი შრომით მოიპოვება საზოგადოებისა და თითოეული მისი წევრის მზარდი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ კერძო საკუთრების, და უწინარეს ყოვლისა წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების წინააღმდეგ, რადგან იგი ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაციის ეკონომიკური საფუძველია.

სოციალისტურ საზოგადოებაში საბოლოოდ და სამუდამოდ გაუქმდა წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება და ამის მეოხებით მოისპო ერთი ადამიანის მიერ მეორის, ერთი კლასის მიერ სხვა კლასების ექსპლოატაციის შესაძლებლობა. წარმოების საშუალებანი ჩვენში, როგორც ცნობილია, განსაზოგადოებულია, საზოგადოებრივი, სახელმწიფო საკუთრებაა. მაგრამ წარმოების ამ განსაზოგადოებულ საშუალებათა კერძო, ანგარებითი მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობა მაინც დარჩა. და ამ შესაძლებლობით ყოველნაირად სარგებლობენ კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის ადამიანები. ჩვენი სოციალისტური საზოგადოების პირობებში მათ ამის კეთება შეუძლიათ მხოლოდ ჩვენი კანონებისა და ჩვენი კომუნისტური მორალის გვერდის ავლით. სწორედ ამიტომ არის, კერძომესაკუთრული ტენდენციების მატარებლებად ჩვენ მიგვაჩნია ჩვენი საზოგადოების, ჩვენი საბჭოური ცხოვრების წესის, ჩვენი ზნეობრივი პრინციპების ანტიპოდები.

შეძლებული ცხოვრების, მატერიალური კეთილდღეობისადმი მისწრაფება სავსებით კანონზომიერი და სრულიად ბუნებრივი მისწრაფებაა. და ჩვენ, კომუნისტები, მთელ ჩვენს საქმიანობას ისე წარვმართავთ, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი საზოგადოების წევრთა დღენიადაგ მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების ყოველმხრივი დაკმაყოფილება.

მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვიბრძვით იმის წინააღმდეგ, რომ მატერიალური დოვლათი უპატიოსნო გზით შეიძინონ, იმის წინააღმდეგ, რომ ერთი მუჭა ეგრეთ წოდებული „ენერგიული ადამიანები" საზოგადოების ხარჯზე მდიდრდებოდნენ, ითვისებდნენ მთელი ხალხის, ჩვენი პატიოსანი მშრომელების კუთვნილებას. და დაე, ყოველ ადამიანს, რესპუბლიკის თითოეულ მოქალაქეს მუდამ ახსოვდეს, რომ კომბინატორებს, მექრთამეებს, საქმოსნებს, ნაირ-ნაირ ქურდებს, უბოდიშოდ რომ უძვრებიან ჯიბეში სახელმწიფოს, არა აქვთ და ვერც ექნებათ გამდიდრების სხვა წყარო, გარდა იმისა, რომ ძარცვონ პატიოსანი მშრომელები — ჩვენი მუშები, ჩვენი კოლმეურნეები, ჩვენი ინტელიგენცია, — ყოვლად უტიფრად, ყოვლად ურცხვად მიითვისონ მათი კეთილსინდისიერი, შეუპოვარი, ბეჯითი, ხშირად — თავდადებული შრომის ნაყოფი, მათი ნაამაგარი. ხაზგასმით აღვნიშნავ: იმათ, ვისაც ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი კერძომესაკუთრული ინსტინქტები, ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სახელმწიფოში გამდიდრების სხვა გზა არ გააჩნიათ, და ყოველივე ამისადმი არავინ არ უნდა დარჩეს გულგრილი, არავინ არ უნდა გამოიჩინოს გულარხეინობა!

ჩვენ კვლავინდებურად ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა მშრომელი ადამიანები უკეთ ცხოვრობდნენ, რათა დღითი დღე იზრდებოდეს მათი მატერიალური შეძლება. და პარტიის ამ საპროგრამო მიზნების მიღწევის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ, ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ სწორედ ამ „ენერგიული ადამიანების" სასარგებლოდ არსებითად კაპიტალისტური წესით ხდებოდეს საზოგადოებრივი სიმდიდრის „გადანაწილება", რისკენაც ისინი ჯიუტად მიიწევენ, თანაც არაფერს არ ერიდებიან და ყველაფერს კადრულობენ.

და ჩვენს ბრძოლას კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რაოდენ ღრმა რევოლუციურ-ჰუმანისტური აზრია ჩაქსოვილი მასში. ეს ბრძოლა ხომ ადამიანში ადამიანისათვის, მისი სულიერი აყვავებისათვის, ნივთების მონობისაგან მისი განთავისუფლებისათვის, იმისათვის ბრძოლაა, რომ ჩვენს ადამიანებს მატერიალური შეძლება მიაჩნდეთ არა თავიანთი სიცოცხლის მიზნად და აზრად, არამედ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციის განვითარების საშუალებად, სულიერი ზრდისა და სულიერი გამდიდრების საშუალებად. კერძომესაკუთრული ტენდენციების მატარებელთა, თუნდაც ამ ტენდენციებით ყველაზე მეტად შეპყრობილ პირთა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენ უნდა განვიხილოთ როგორც ახალი ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების შემადგენელი ნაწილი. აი, რატომ გვასწავლის პარტია, რომ რაც უფრო მაღლა მიიწევს ჩვენი საზოგადოება თავის განვითარებაში, მით უფრო შეუწყნარებელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმებიდან ჯერ კიდევ შემორჩენილი გადახვევები.

ჩვენი დღევანდელი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის თემა მჭიდროდ არის დაკავშირებული რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მთელ რიგ საკითხებთან, რომლებიც გაშუქდება როგორც ძირითად მოხსენებაში, ისე კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლებში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ დასახული პრობლემებისადმი ასეთი ყურადღებიანი, ასეთი პრინციპული პარტიული დამოკიდებულება შესაძლებლობას მოგვცემს მეცნიერულ საფუძველზე გავაანალიზოთ კერძომესაკუთრული ტენდენციების წარმომშობი მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირი, დავრაზმოთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად მშრომელთა ფართო მასები, სრულვყოთ ჩვენი პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა, დავუპირისპიროთ წარსულის გადმონაშთებს ჩვენი საბჭოთა კანონების მთელი ძალა.

კომუნისტური ზნეობის მტკიცე საძირკველი, ჩვენი რევოლუციური ისტორიული ოპტიმიზმი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ კერძომესაკუთრული ტენდენციები წარმავალი პრობლემაა. მაგრამ მათ თავისთავად როდი გაუვათ ყავლი. ბურჟუაზიული მორალის გადმონაშთების წინააღმდეგ დღენიადაგ უნდა ვაწარმოოთ შეურიგებელი, შეუპოვარი ბრძოლა. და ამასთან ჩვენი განვითარების ყოველი ახალი ეტაპი მოითხოვს ბრძოლის ახალ ფორმებს, შეფასების ახალ კატეგორიებს.

თუ თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების წელს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის VIII პლენუმის, 1974 წლის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებში კერძომესაკუთრული ტენდენციები განსაზღვრული იყო როგორც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მოდებული სენის სიმპტომი, დღეს, კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებისადმი მიძღვნილ პარტიული აქტივის ამასწინანდელ კრებაზე, ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნეთ ამ დაავადების აშკარად გამოხატული ფორმების გავრცელების გარკვეული ლოკალიზაცია, ამასთან ყურადღება მივაპყარით მის ფარულ ფორმებს.

აი, რატომ გვმართებს დღეს ამ დაავადების რეციდივებისადმი ახლებური მიდგომა, მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომა. აი, რად არის საჭირო პრობლემის ღრმა ანალიზი. და ბოლოს, აი, რატომ არის, რომ საკმარისია ოდნავ შესუსტდეს შეტევა — ამაში კი თვით ცხოვრება გვარწმუნებს, — რომ კერძომესაკუთრული ტენდენციები ახალი ძალით იფეთქებს ხოლმე.

საბჭოთა საზოგადოება მშრომელ ადამიანთა საზოგადოებაა. საზოგადოების საკეთილდღეოდ შრომა სოციალისტური ცხოვრების წესის თავიდათავი, კომუნისტური მორალის, კომუნიზმის მშენებლის ზნეობრივი კოდექსის თავიდათავია. პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა საბჭოთა ადამიანები ზნეობრივად ჯანსაღნი იყვნენ, რაც ჩვენ ძლიერებასა და სიმტკიცეს გვმატებს. მაგრამ კომუნისტური მორალის გამარჯვებას ვერ მივაღწევთ, თუ გადაჭრით არ ვებრძოლეთ მის ისეთ ანტიპოდებს, როგორიც არის მომხვეჭელობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, თუ არ დავძლიეთ ადამიანთა ანტისაზოგადოებრივი შეხედულებანი და ქცევა.

შემთხვევითი როდია, რომ სიტყვა „მესაკუთრეს" ჩვენ ახლა სულ სხვა აზრს ვანიჭებთ. დღეს მესაკუთრეს ვუწოდებთ არა უბრალოდ რაიმე ქონების პატრონს, არამედ იმას, ვინც ისწრაფვის რაც შეიძლება მეტი ჰქონდეს, ვინც შეპყრობილია კერძომესაკუთრული, ანგარებითი ინტერესებით.

კერძო საკუთრება ადამიანს იმონებს, აცინიკებს, წარმოშობს ანგარებას, სიძუნწეს, სიხარბეს. საბოლოო ანგარიშით კი კერძომესაკუთრული ტენდენციები უზნეოა, საშიშია სოციალიზმისათვის, რადგან მათ მოსდევს წინააღმდეგობანი პიროვნების ქცევის შინაგან მოტივებსა და საზოგადოების მოთხოვნებს შორის.

პრობლემა, რომელსაც დღეს განვიხილავთ, მრავალწახნაგოვანია, იმიტომ რომ მრავალფეროვანია თვით კერძომესაკუთრული ტენდენციები. შემთხვევითი როდია, რომ კონფერენციის მუშაობის პროგრამით გათვალისწინებულია განვიხილოთ პრობლემის ისეთი ასპექტები, როგორიც არის:

— ეკონომიკური ასპექტი, ვინაიდან საკუთრებისადმი დამოკიდებულება განუყრელად არის დაკავშირებული შრომისადმი დამოკიდებულებასთან და საზოგადოების მიერ შექმნილი მატერიალური დოვლათის მითვისების ისტორიულად განსაზღვრულ ფორმასთან;

— პოლიტიკური ასპექტი, ვინაიდან კერძომესაკუთრული ინტერესებით შეპყრობილი ადამიანი მატარებელია ბურჟუაზიული, მეშჩანური მორალისა, რომელსაც იმპერიალიზმის იდეოლოგები სოციალისტური ცხოვრების წესის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად იყენებენ;

— მორალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი, ვინაიდან კერძომესაკუთრეობა ერთ-ერთი გამოვლინებაა ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმისა, რომლებსაც მოსდევს პიროვნების გადაგვარება;

— და, ბოლოს, ფილოსოფიური ასპექტი, ვინაიდან ჩვენ მიერ აღძრული პრობლემა უშუალოდ უკავშირდება ადამიანის ცხოვრების აზრისა და საზოგადოებრივი დანიშნულების გაგებას.

სწორედ ამიტომ არის ესოდენ რთული კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის ამოცანა.

ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, მათ შორის კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი მეცნიერების გააქტიურების საჭიროებას განსაკუთრებული სიმძაფრე ენიჭება სწორედ დღეს, გართულებული საერთაშორისო ვითარების პირობებში, რადგან იმპერიალიზმის იდეოლოგები ცდილობენ გამონახონ ბზარი ჩვენი საზოგადოების იდეურ-პოლიტიკურ შეკავშირებაში, ჩვენს სოციალურ შეკავშირებაში, ჩვენი ქვეყნის ერებისა და ეროვნებების შეკავშირებაში, გამოიყენონ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში კერძომესაკუთრული ტენდენციები. და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს!

ჩვენს რესპუბლიკას, ისევე როგორც მთელ საბჭოეთს, ახლა სახალხო-სამეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაუდგა — ჩვენ ვამთავრებთ მეათე ხუთწლედს და ამით საძირკველს ვუყრით მომავალ ხუთწლედებს. მიმდინარე წლის დამდეგს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის ყველა მშრომელს მიმართა მოწოდებით: გადავჭრათ მიმდინარე, ლენინური წე-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

დავძლიოთ კერძომესაკუთრული ტენდენციები, დავამკვიდროთ კომუნისტური მორალის ნორმები

(გაგრძელება).

ლი დამკვრელური შრომის წლად.

თვით ცხოვრება, მთელი ჩვენი გამოცდილება მოწმობს, რომ, რაც უფრო მაღალია მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის დონე, თითოეული საბჭოთა ადამიანის შეგნებული დისციპლინის, იდეური მრწამსის დონე, მით უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს ვაღწევთ კულტურულ და სამეურნეო მშენებლობაში. აი რატომ არის, რომ პარტია სოციალისტური წარმოების ყველა უბანზე მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლას უაღრესად მჭიდროდ უკავშირებს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მუდმივ სრულყოფას.

1980 წლის გეგმებისა და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად ბრძოლაში ჩვენ დღენიადაგ უნდა ვიზრუნოთ კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი აღზრდისათვის, რათა ყოველი მუშა, თითოეული კოლმეურნე, ინტელიგენციის ყოველი წარმომადგენელი, თითოეული მოქალაქე გახდეს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის შეგნებული მებრძოლი, მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდეს საერთო-სახალხო საქმეს, ღირსეულად შეხვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას.

ჩვენ წინაშე ძალზე რთული ამოცანები დგას, და აქ უაღრესად საჭიროა მარჯვედ გამოვძებნოთ და გამოვიყენოთ მთელი რეზერვები —მატერიალური, ორგანიზაციული, სულიერი რეზერვები.

კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევა, უნარი — დროზე გამოსტაცო ადამიანი კერძომესაკუთრეობის ჭაობს და შემოაბრუნო იგი საზოგადოებრივისაკენ — ეს კიდევ ერთი რეზერვია, თანაც მნიშვნელოვანი რეზერვი, —როგორც ეკონომიკური გამოხატულებით, ისე ზნეობრივი შედეგით.

კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის დევიზი უნდა გახდეს მშრომელთა ინტერესების დაცვა და მშრომელი ადამიანის განდიდება. დიახ, ეს დევიზი დღევანდელი კონფერენციის დევიზიც იყოს.

ჩვენს ახლანდელ დღის წესრიგში მდგომი პრობლემის აქტუალობას ხაზს უსვამს თვით ჩვენი რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილეთა წარმომადგენლობითი შემადგენლობა: კონფერენციაში მონაწილეობენ წამყვანი მეცნიერები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ჩვენი სტუმრები.

დასასრულ, ძვირფასო ამხანაგებო, ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოგესალმოთ ჩვენი კონფერენციის ყველა მონაწილეს და გისურვოთ ყველას წარმატებული, ნაყოფიერი მუშაობა!

✦✦

კონფერენციაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნ. ენუქიძე, რომელმაც გააკეთა მოხსენება „კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად“.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, აღნიშნა მომხსენებელმა, კერძომესაკუთრული ტენდენციების, წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო.

ამ პრობლემას არც დღეს, განვითარებული, რეალური სოციალიზმის პირობებში დაუკარგავს აქტუალობა, პირიქით, მან განსაკუთრებული სიმძაფრე და მნიშვნელობა მიიღო.

სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების, მასების ჭეშმარიტი დემოკრატიისა და შემოქმედების განვითარების, ადამიანის ზნეობრივი განახლების პირობებში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ და რეალურად გამოიკვეთება კერძომესაკუთრული ტენდენციების მთელი ანტიჰუმანური, ანტისაზოგადოებრივი არსი, რომელიც პიროვნებასა და საზოგადოებაზე თავისი დამოუკიდებლი, გამხრწნელი გავლენით სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგება და უპირისპირდება ჩვენი საზოგადოების ზნეობრივ-პოლიტიკურ იდეალებს, სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმებსა და პრინციპებს, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის მიზნებსა და ამოცანებს.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, აღნიშნავდა რა, რომ რევოლუციამ განახორციელა პრინციპები „ვინც არ მუშაობს, ის არც უნდა ჭამდეს“, „თანაბარი რაოდენობის შრომისა და თანაბარი რაოდენობის პროდუქტისათვის“, ამასთანავე ხაზს უსვამდა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ აღნიშნული პრინციპები საზოგადოების ყველა წევრის შეგნებაში დამკვიდრდაო.

„ჩვენ არცთუ ცოტა რამეს მივაღწიეთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში,—თქვა სკკპ XXV ყრილობაზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. — ჩვენ კვლავაც თანამიმდევრულად განვაგრძობთ ამ ამოცანის გადაწყვეტას. მაგრამ საჭიროა, რომ მატერიალურ შესაძლებლობათა ზრდას დღენიადაგ თან სდევდეს ხალხის იდეურ-ზნეობრივი და კულტურული დონის ამაღლება. თორემ შეიძლება მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივებმა იჩინოს თავი. ეს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს“.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის ამ პრინციპულმა მითითებამ თავისი ლოგიკური განვითარება პოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ — დოკუმენტში, რომელმაც მრავალი წლისათვის განსაზღვრა მთელი ჩვენი ორგანიზატორული, პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის მაგისტრალური მიმართულება კომუნისტური მშენებლობის ისეთ უმნიშვნელოვანეს უბანზე, როგორიც ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაა. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ დადგენილებამ მთელი სიმწვავით წამოჭრა ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში სოციალიზმისადმი მტრული წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ამოცანა.

ორმოციანი წლების მიწურულს და, განსაკუთრებით, ორმოცდაათიანი წლების შუა ხანებში ჩვენი განვითარების მთელმა რიგმა ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ბრძოლის დაქვეითება. რესპუბლიკაში გავრცელდა პროტექციონიზმი, მექრთამეობა, კარიერიზმი, მტაცებლური დამოკიდებულება სოციალისტური საკუთრებისადმი.

ყოველივე ამის შედეგია ის ფაქტი, რომ სამოცდაათიანი წლების დამდეგისათვის რესპუბლიკის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მას განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეკავა ქვეყანაში. უფრო მეტიც, რესპუბლიკაში ამ დროისათვის პრაქტიკულად არ დარჩენილა ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელზეც უარყოფითი გავლენა არ მოეხდინოს კერძომესაკუთრული ტენდენციების ზემოქმედებას, ფაქტობრივად არალეგალური მეწარმეობა იყო ეს თუ უმაღლესი სასწავლებლების ადგილებითა და დიპლომებით ვაჭრობა, წარმოებაში წვრილმანი დატაცებები თუ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ფასდაუდებელი ნივთების დატაცება, ჯანმრთელობის დაცვაში აშკარა გამოძალვა თუ ამა თუ იმ ხელმძღვანელისათვის სასურველი ადამიანებისათვის „თბილი ადგილების“ დარიგება. ჩვენ რეალურად წავაწყდით ისეთ მოვლენას, როდესაც სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი— ადამიანის მატერიალური უზრუნველყოფის დონის უცილობელი შესაბამისობა მისი შრომის რაოდენობისა და ხარისხისადმი— სერიოზულად დაირღვა, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანთა ფსიქოლოგიის, საზოგადოებრივი შეგნების, სულიერ ღირებულებათა დეფორმაცია.

დღეს გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ ისიც, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღებამდე რესპუბლიკის პარტორგანიზაციაში საკმაოდ ხშირად მოუწოდებდნენ კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის შესახებ, და ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი ფორმალურად სწორი გადაწყვეტილება და დადგენილება გამოჰქონდათ. მაგრამ სწორედ ასეთ ლაპარაკზე, გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებზე ზედგამოჭრილია შესანიშნავი ლენინისეული ფორმულა: „ფორმალურად სწორია, არსებითად კი აბუჩად აგდებაა“.

ახლა, განვლილი წლების პრიზმაში ჩვენ გაცილებით უფრო მკაფიოდ ვხედავთ მომხდარი ამბების არსს, შინაგან ბუნებას.

მოჩვენებითი ბრძოლით ნიღბავდნენ რესპუბლიკის მთელ რიგ ხელმძღვანელთა შემთანხმებლობას, შემრიგებლობას და აშკარა ხელშეწყობას კერძომესაკუთრული ტენდენციების გავრცელებისათვის — აი რატომ იყო, რომ ეს ტენდენციები მთიდან მოვარდნილი ზვავივით იზრდებოდა და ბოლოს და ბოლოს შლიდა შრომის დისციპლინას, ამკვიდრებდა საქმისადმი წამგლეჯურ დამოკიდებულებას, მისწრაფებას — მატერიალური სარგებლობა მიეღოთ თუნდაც ისეთი რამისაგან, რაც მატერიალურ ღირებულებათა სკალით საერთოდ არ აღირიცხება.

ყველას გვახსოვს, როგორ მიდიოდნენ მასობრივად მუშები თავიანთი საწარმოებიდან, კოლმეურნეები — თავიანთი მეურნეობებიდან. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ რუსეთისა და უკრაინის, ციმბირისა და ყაზახეთის, ურალისა და ვოლგისპირეთის ბაზრებზე გაცილებით უფრო ადვილად შეხვდებოდით ჩვენ თანამემამულეებს, ვიდრე ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში. აი, ასეთ ატმოსფეროში იზრდებოდა და ყალიბდებოდა მაშინ ახალგაზრდობა. ვინ მოთვლის, რა ზნეობრივი ზიანი მიადგა მას.

ჩვენს რესპუბლიკაში სამოცდაათიანი წლების დამდეგისათვის დამკვიდრებული ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია აწუხებდა კომუნისტებს, საბჭოთა საქართველოს ყველა პატიოსან მშრომელს. აი, რატომ იყო, რომ ასეთი მხურვალე მოწონებით და ღრმა გაგებით შეხვდით მაშინ საქართველოს პარტიული ორგანიზაციისათვის, მთელი რესპუბლიკისათვის ისტორიულ გადაწყვეტილებას — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. სწორედ ამ პარტიულმა დოკუმენტმა მისცა დასაბამი რესპუბლიკაში პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენას და საყოველთაო დამკვიდრებას და ამ კურსის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა უკომპრომისო ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში საეტაპო იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის ნოემბრის VIII პლენუმი, რომელმაც მწვავე და პრინციპული შეფასება მისცა რესპუბლიკაში დამკვიდრებულ უაღრესად არაჯანსაღ ვითარებას. პლენუმმა დასახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების განუხრელი შესრულებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა დაძლევისათვის მოქმედების კონკრეტული, ზუსტი პროგრამა. საქართველოს პარტიული ორგანიზაცია დაკვირვებით, თანამიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებდა ქმედით ღონისძიებებს, რომლებიც სოციალისტური ცხოვრების წესისადმი ანტიპოდური მოვლენების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ მიზნებს ემსახურებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საპროგრამო დადგენილებანი პროტექციონიზმის, მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების, მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ვინაიდან არსებითად ეს ნეგატიური მოვლენები იგივე კერძომესაკუთრულმა მისწრაფებებმა, წვრილბურჟუაზიულმა ფსიქოლოგიამ წარმოშვა.

კერძომესაკუთრულ ტენდენციებზე მასირებული შეტევა შემადგენელი ნაწილია ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური, არსებითად პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათა მთელი კომპლექსისა. მას შემდეგ, აი უკვე შვიდი წელია, ჩვენი ცენტრალური კომიტეტის ყველა პლენუმზე, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, რესპუბლიკური პარტიული აქტივის კრებებზე უცვლელი თანამიმდევრობით აღვძრავთ ხოლმე კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის გაძლიერებისა და გამკაცრების აუცილებლობის საკითხს. ხომ არ გამომდინარეობს აქედან დასკვნა, თითქოს კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას ვერ მოეტანოს მოსალოდნელი შედეგები, ხომ არ გამომდინარეობს დასკვნა, თითქოს ვერ შევძელით შეგვეწყვიტორებინა ამ ტენდენციების მატარებლები მათ წინააღმდეგ შეტევის მთელ ფრონტზე? სულაც არა. პირიქით, გარკვევით უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი ბრძოლის წარმატებანი ერთობ მნიშვნელოვანია, და ეს ფაქტი განსაკუთრებული ძალით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის დადგენილებაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ. დღეს ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით დავადასტუროთ, რომ ის ტაქტიკური და სტრატეგიული მიზნები, რომლებიც რესპუბლიკურმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაგვისახა თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების განხორციელების პირველ ეტაპზე, ძირითადად მიღწეულია.

უწინარეს ყოვლისა, ეს უშუალოდ გამოიხატა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში:

— დაძლეულია საშუალო-საკავშირო დონისაგან არსებითი ჩამორჩენა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით, ამასთან მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1979 წელს 1972 წელთან შედარებით გადიდდა 71,3 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციისა — 64,2 პროცენტით; ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის აბსოლუტურმა მატებამ მეათე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე თითქმის ერთიორად გადააჭარბა 1971-1974 წლების ანალოგიურ მაჩვენებელს. მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები მოხდა მეურნეობრიობის ეფექტიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების — შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის დინამიკაში; ამ მაჩვენებლების ზრდის ტემპის მიხედვით რესპუბლიკა მოწინავეთა რიგებშია ქვეყნის მასშტაბით; კაპიტალური დაბანდებების მოცულობა 1972-1979 წლებში 28,5 პროცენტით გაიზარდა; წარმოებული ეროვნული შემოსავალი გადიდდა 69,5 პროცენტით; ხოლო რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით — თითქმის 33 პროცენტით; 1973-1979 წლების პერიოდში აშენდა თითქმის 184 ათასი ბინა, სადაც ახალმოსახლეობა გადაიხადა რესპუბლიკის მილიონზე მეტმა მცხოვრებმა; უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე რესპუბლიკაში მწყობრში ჩადგა სკოლები 238,5 ათასი მოსწავლისათვის, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი — 35,5 ათასი ადგილით, სამედიცინო დაწესებულებანი — 11,3 ათასი საწოლით. 1972 წლიდან მრეწველობის მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასი თითქმის 34,2 პროცენტით გაიზარდა, მშენებლებისა — 23 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა — 49,5 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — 66,8 პროცენტით; 1972 წლიდან სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა ერთნახევარჯერ გადიდდა, ამასთან სახალხო მოხმარების საქონლის გაყიდვის ზრდამ 60 პროცენტს გადააჭარბა; ამავე პერიოდში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 97,1 პროცენტით გაიზარდა.

რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბის ზრდისა და ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე თანამიმდევრულად ხორციელდება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშრომელთა მასების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო ფართო დაკმაყოფილების კურსი.

რა თქმა უნდა, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში უკანასკნელი წლების მანძილზე მიღწეული ასეთი მნიშვნელოვანი წარმატებანი არ შეიძლება განვიხილოთ იმ ბრძოლასთან ორგანული კავშირის გარეშე, რომელსაც საქართველოს კომპარტია ეწევა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, სოციალისტური დისციპლინის, მართლწესრიგის, მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლების, მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის გაძლიერებისათვის. და განვლილი წლების უმთავრესი შედეგი ის არის, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ ადამიანისათვის ბრძოლაში, ჩვენს ცხოვრებაში მაღალი ზნეობრივ-პოლიტიკური იდეალების, სოციალისტური საზოგადოების ჭეშმარიტ სულიერ ღირებულებათა აღდგენა-დამკვიდრებისათვის ბრძოლაში. ამ გამარჯვებას კი იმის მეოხებით მივაღწიეთ, რომ მნიშვნელოვნად გარდაიქმნა იდეოლოგიური მუშაობა პარტიულობის, კლასობრიობის, მეცნიერულობის, საქაროობის, ალალმართლობის, მასების ფართო ინფორმირების საფუძველზე, პარტიის თეორიული საქმიანობა კიდევ უფრო დაუახლოვდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის პრაქტიკას, კარდინალურად გაუმჯობესდა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის მთელი სისტემის ფუნქციონირება პროპაგანდისტული და საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საფუძველზე, განვითარდა და დამკვიდრდა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების დემოკრატიული პრინციპები, გააქტიურდა და დაირაზმა მშრომელთა საზოგადოებრივი აზრი პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისათვის საბრძოლველად, ამაღლდა მეცნიერულ-პედაგოგიური და შემოქმედებითი ინტელიგენციის იდეურ-აღმზრდელობითი როლი, განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. ახლანდელ ეტაპზე, როგორც საქართველოს პარტიული აქტივის გასული წლის ივნისის კრებაზე აღინიშნა, რესპუბლიკაში ყველაზე ხელშემწყობი ობიექტური და სუბიექტური პირობებია შექმნილი კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის მატარებლებზე გადამწყვეტი შეტევისათვის. როგორც იდეოლოგიური აქტივის კრებაზე გამოსვლისას თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ, — როცა ჩვენს საზოგადოებაში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომ გაძლიერებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ უდავოდ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტი გვაქვს. ამიტომ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გაწეულ მუშაობას ვერ დავჯერდებით, კიდევ უფრო რთული და დიდი მუშაობა მოგვიწევს ამ ფრონტზე“.

ანტისაზოგადოებრივი მოვლენების, სოციალისტური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეტაპის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის წერილი რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და კომკავშირელისადმი და საქართველოს პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების 1980 წლის იანვრის აქტივის კრების გადაწყვეტილებანი, სადაც კონკრეტული და კონსტრუქციული ღონისძიება დაისახა „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად.

საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის დღევანდელი გაუმჯობესება, რომელიც მათ ათავისუფლებს ელემენტარული, პირველადი მოთხოვნილებების ფსიქოლოგიური ტვირთისაგან და ფართო შესაძლებლობას სახავს პიროვნების სულიერი და ზნეობრივი აყვავებისათვის, იდეურ-აღმზრდელობითი ზემოქმედების გარკვეული შესუსტების პირობებში მეშჩანური ფსიქოლოგიის რეციდივების საფრთხესაც მოიცავს.

ჩვენ კარგად ვიცით წარსული წლების მწარე გამოცდილებით, თუ რაოდენ სერიოზული ზიანი მიაყენა კერძომესაკუთრულმა ტენდენციებმა ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას: ჯერ ერთი, ისინი აბრკოლებენ დოვლათის წარმოებისა და შრომის მიხედვით განაწილების მთავარი სოციალისტური პრინციპის განხორციელებას და, მაშასადამე, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მეორე, პოლიტიკური თვალსაზრისით სახელს უტეხენ სოციალიზმის ობიექტურ, რეალურ უპირატესობებს, მესამე, შედეგად მოსდევთ ღირებულებრივი ორიენტაციის, ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ზნეობრივი პოზიციების დეფორმაცია, და წარმოშობენ სოციალურ პესიმიზმს, აპოლიტიკურობას, ამორალობას, უიდეობას. ბუნებრივია, რომ ასეთი სერიოზული ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს დაკვირვებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ მიდგომას, გულმოდგინე განმარტებითს მუშაობას იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა დონეზე. კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინების სოციალური არსისა და ფორმების გამარტივებული გაგება, ისეთი ცნებების გაიგივება, როგორიც არის „კერძო საკუთრება“ და „პირადი საკუთრება“, „კეთილდღეობის გაუმჯობესება“ და „გამდიდრებისადმი მისწრაფება“ გამოიწვევს უაღრესად სერიოზულ გადახრებს კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მიმართულებიდან.

კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წარმოშობა და გავრცელება იმასთან არის დაკავშირებული, რომ სწორედ ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაციის, სხვისი შრომის მითვისების, პარაზიტიზმის წარმომშობი წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება წარმოადგენს წარმოებითი და საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველს და ხერხემალს ანტაგონისტურ საზოგადოებაში. ბუნებრივია, რომ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოებითი ურთიერთობა, რომლისთვისაც განსაკუთრებით ხელშემწყობი პირობები იქმნება წარმოებისა და მოხმარების კაპიტალისტური წესის დროს, წარმოშობს და, ფაქტობრივად, აკანონებს კერძომესაკუთრულ ურთიერთობას ადამიანებს შორის, გამოუმუშავებს მათ კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას და ინსტინქტებს, რაც გარდაუვალი, კანონზომიერი მოვლენაა ნებისმიერ ექსპლოატატორულ საზოგადოებაში.

კერძომესაკუთრული მისწრაფებები სხვა არა არის რა, თუ არა სხვისი შრომის მითვისებისადმი მისწრაფება, რაც კანონსაწინააღმდეგოა სოციალიზმის პირობებში. ამის შესახებ უაღრესად ზუსტად ითქვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე: „მდგომარეობის ლოგიკა ისეთია, — აღინიშნა საანგარიშო მოხსენებაში, — რომ თუ სახელმწიფო და საზოგადოებრივი დოვლათი ციურ მანანასავით ზეციდან არ ცვივა, თუ მატერიალურ და სულიერ დოვლათს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის გარჯა ქმნის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის, ვინც იღებს მეტს, ვიდრე თავისი შრომის შედეგების მიხედვით ერგება, ხელყოფს მშრომელი ადამიანის ინტერესებს. იგი ძარცვავს მშრომელ ადამიანს აშკარა თუ ფარული ფორმით. იგი მშრომელი ადამიანის მტერია, მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ცხოვრობს“.

ძირითადი ობიექტური ფაქტორია ადამიანთა შეგნებაში გამძლარი ანტაგონისტური ფორმაციების (უწინარეს ყოვლისა, კაპიტალიზმის) გადმონაშთები, რაც შეპირობებულია საზოგადოებრივი შეგნების ფარდობითი დამოუკიდებლობის კანონით, რომელიც ერთბაშად, საზოგადოებრივი ყოფიერების შეცვლასთან ერთად ავტომატურად არ იცვლება. ეს კი ნიშნავს, რომ იგი, მეტადრე ინდივიდუალური შეგნება, თავის განვითარებაში შეიძლება ჩამორჩეს სოციალურ-ეკონომიკურ ბაზისს. „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ კ. მარქსი წერდა, რომ ახალი საზოგადოება გამოდის სწორედ კაპიტალისტური საზოგადოებიდან და ამიტომ ყველა თვალსაზრისით — ეკონომიკური, ზნეობრივი თუ გონებრივი თვალსაზრისით ჯერ კიდევ ინარჩუნებს იმ ძველი საზოგადოების თანდაყოლილ დაღს, რომლის წიაღიდანაც იგი გამოვიდა.

ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე სტადიაზე მისი ეკონომიკური პოტენციალის ზრდისა და წარმოების და პირადი მოხმარების, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლების დაჩქარების გამო მკვეთრად იზრდება ადამიანთა მატერიალური მოთხოვნილებანი, რაც ზოგჯერ უსწრებს საწარმოო ძალების განვითარების მოცემული ეტაპის რეალურ შესაძლებლობებს. ხოლო ვინაიდან განვითარებული სოციალიზმის დროსაც კი ჯერ განუხორციელებელია მოთხოვნილებების მიხედვით საზოგადოებრივი დოვლათის განაწილება, წარმოიშობა პირობები, როცა საზოგადოების წევრთა გარკვეული ნაწილის მატერიალური მოთხოვნილებანი მათი ინდივიდუალური შეგნების არასაკმარისი დონის გამო არ ესადაგება მათ საკუთარ შრომითს წვლილს საზოგადოების საკეთილდღეოდ. და აი, აქ უკვე თავს იჩენს კაპიტალისტური ცხოვრების წესიდან გადმოსული ფსიქოლოგიური განწყობა — მუშტრის თვალით ყურება ცხოვრებაზე, წვრილბურჟუაზიული, მეშჩანური ინდივიდუალიზმი, სოციალისტური საზოგადოების სულიერ ღირებულებათა გაუფასურება. მაგრამ, აღნიშნა ამხ. გ. ენუქიძემ, ჩვენ უფლება არა გვაქვს დავიმოწმოთ მხოლოდ ობიექტური ფაქტორები, ვინაიდან ისინი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში არსებითს როლს ასრულებენ მხოლოდ მაშინ, როცა ამას ხელს უწყობს სუბიექტური ფაქტორები, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური მართვის უხეში შეცდომები.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში ამ სუბიექტური ფაქტორების მოქმედებას გამოხატავდა განდგომა საზოგადოების ეკონომიკური, სახელმწიფო, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპებისა და ნორმებისაგან, შეცდომები და ხარვეზები სამეურნეო მართვაში, ეკონომიკური მექანიზმის არასრულყოფილი ფუნქციონირება, მმართველობითი ორგანოების მიერ საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრობლემების მჭიდრო კავშირის უგულებელყოფა და, რაც მთავარია, იმ სოციალისტური პრინციპის უგულებელყოფა, რომელიც გვასწავლის: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით“, წაყრუება და ლიბერალიზმი სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა, მექრთამეთა და უშრომელი შემოსავლის სხვა „მოტრფიალეთა“ მიმართ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სოციალისტური დისციპლინისა და საზოგადოებრივი მართლწესრიგის დამკვიდრებისათვის ბრძოლის შესუსტება, კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი, ხელმძღვანელ მუშაკთა ზნეობრივ-პოლიტიკური თვისებებისადმი მოთხოვნების შესუსტება, ქრთამიან კრიტიკის, მშრომელთა ფართო მასების საზოგადოებრივი აზრის ჩახშობა და უგულებელყოფა, ნაკლოვანებებისა და სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიჩუმათება, და ბოლოს, მასებთან იდეურ-აღმზრდელობითი და პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობის შესუსტება.

წარსულში ჩვენს რესპუბლიკაში ნეგატიური, სუბიექტური მოვლენები იმდენად ღრმად იყო გამჯდარი ჩვენი სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების სტრუქტურაში, რომ უკვე კერძომესაკუთრული განწყობილებისა და ცხოვრებაზე წვრილბურჟუაზიული შეხედულებების გავრცელების ობიექტურ წანამძღვრებად გვევლინებოდა. და ეს ბუნებრივია — თუ დღეს თვალს ავარიდებთ, ვთქვათ, პარტიის რომელიმე რაიკომის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სუბიექტივიზმით შევქმნით ობიექტურ წანამძღვრებს ნაკლოვანებათა კიდევ უფრო მეტად გავრცელებისათვის, ხოლო უკვე ხვალ ასეთი მუშაობის მანკიერი სტილი ობიექტური პირობა გახდება სუბიექტური მომხვეჭელური ან ამორალური მისწრაფებების გამოვლინებისათვის. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მკაცრად გავაკრიტიკეთ პარტიის ზესტაფონის რაიკომი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესუსტებისათვის. ზესტაფონის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაჭარბებით შეაფასეს თავიანთი წარმატებანი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, თვითდამშვიდებას მიეცნენ და მკვეთრად შეასუსტეს ამ ბრძოლის სიმწვავე და პრინციპულობა. ამის შედეგად რაიონში შეიქმნა ობიექტური წანამძღვრები კერძომესაკუთრული ტენდენციების სერიოზული გამოცოცხლების და გავრცელების, მოსახლეობას შორის დრომოჭმული მავნე ტრადიციების და წესჩვეულებების აღორძინების ახალი ტალღის მოზღვავებისა. სამწუხაროდ, ასეთი სიტუაცია იშვიათი არ არის, მას რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც ვხვდებით.

თუ კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში კერძომესაკუთრული ურთიერთობა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონია, სოციალისტურ საზოგადოებაში იგი გვევლინება ანტისაზოგადოებრივად, სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმებისა და პრინციპების ანტიპოდად. ის, რასაც ჩვენ კერძომესაკუთრულ ტენდენციებს ვუწოდებთ, უნდა გავიგოთ როგორც იმ ცალკეული მოქალაქეებისა ან ადამიანთა ჯგუფების ანტისაზოგადოებრივი სოციალურ-ფსიქოლოგიური განწყობისა და მოქმედების ერთობლიობადი, რომლებიც შეგნებულად გაურბიან შრომის მიხედვით დოვლათის ობიექტურ განაწილებას, სოციალიზმის ნორმატიულ კანონებს, და პირადი გამდიდრების მიზნით ესწრაფვიან უშრომელ შემოსავალს სახელმწიფო, საკოლმეურნეო — კოოპერაციულ და მშრომელთა პირად საკუთრებაში არსებული დოვლათის მითვისების გზით.

აქედან გამომდინარე, სოციალიზმის პირობებში კერძომესაკუთრული მისწრაფებისა და მოქმედების არსი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ როგორც ანტისაზოგადოებრივი, ანტისოციალისტური და, მაშასადამე, დანაშაულებრივი და ამორალური. კერძომესაკუთრული ტენდენციების ყველა ფორმა, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით, უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან: კერძომესაკუთრული მორალით მოწამლული ადამიანი თავის მომხვეჭელურ მისწრაფებებს არის აყოლილი და საზოგადოებრივ ინტერესებს უპირისპირებს თავის პირადი ეგოისტურ ინტერესებს. ამ მხრივ საგულისხმოა „საქსოფლმშენინდუსტრიის“ ტრესტის ქარხნის № 2 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის ყოფილი დირექტორის ბახტაძისა და ყოფილი საამქროს უფროსის განდელიანის ბედი, რომლებმაც შემზარავი დანაშაული ჩაიდინეს.

ნიშანდობლივია, რომ მარტო ამ უკვე გახმაურებულ „ბახტაძე-განდელიანის საქმეში“ ჩვენ ვაწყდებით კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინებათა სხვადასხვა ფორმების მთელ კონგლომერატს: აქ არის სოციალისტური საკუთრების დატაცებაც, წამატებებიც, მექრთამეობაც, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაც, პროტექციონიზმიც, მორალური გახრწნაც, რასაც შედეგად მოჰყვა უმძიმესი დანაშაული — მკვლელობა. ეს ადამიანის გადაგვარების და დაცემის ლოგიკური ჯაჭვია.

რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში, მმართველობითი სისტემის სხვადასხვა დონეზე დღესაც შევხვდებით კერძომესაკუთრული ტენდენციების სხვადასხვაგვარ გამოვლინებას, მაგალითად, უკანასკნელ წლებში მთელი რიგი ჩვენი სამინისტროების ქვეგანაყოფებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობაში ხდებოდა დატაცება, წამატებები, უსაქონლო ოპერაციები.

შემოსავლის ძიებაში საქმოსნები კვლავინდებურად ცდილობენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაიტანონ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რისთვისაც სულ უფრო გაწაფულ ხერხებს მიმართავენ. კერძომესაკუთრული ტენდენციები სოფლად ჯერ კიდევ ვლინდება იმით, რომ ითვისებენ სახელმწიფო და საკოლმეურნეო მიწებს, თვითნებურად იშენებენ სახლებსა და აგარაკებს, ამასთან უხეშად არღვევენ დასაშვებ ნორმებს. ასეთი ფაქტები შეიმჩნევა ზღვისპირა ზონაში — აფხაზეთში, აჭარაში, აგრეთვე ზუგდიდის, გურჯაანისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

საწარმოო-სამეურნეო სფეროში, განსაკუთრებით სამშენებლო ორგანიზაციებში კერძომესაკუთრულ, მომხვეჭელურ მისწრაფებათა დაკმაყოფილების ერთობ „პოპულარული“ ფორმაა სამუშაოზე „მკვდარი სულების“ გაფორმება იმ მიზნით, რომ შემდეგ [illegible] თვითონ ჩაიჯიბონ მათი ხელფასი და შეუსრულებელი სამუშაოებისათვის გაცემული პრემიები, რაც ჯერ კიდევ არ ამოთხრილა.

კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინების ბევრი ასეთი ფორმა ხშირად იმის შედეგია, რომ შეცდომები და ხარვეზები გვაქვს მეურნეობის მართვაში, კადრების განაწილებასა და აღზრდაში, შესრულების კონტროლსა და შემოწმებაში.

კერძომესაკუთრული ტენდენციების ერთ-ერთი ყველაზე საშიში გამოვლინებაა წამატებები, ვინაიდან სწორედ ისინი აძლევენ საქმოსნებს შესაძლებლობას თავიანთი ანგარებითი, მომხვეჭელური მიზნებისათვის გამოიყენონ ჩვენი საწარმოო ძალები. წამატებები შეუძლებელი იქნება, თუ წინასწარ არ შეკრა პირი ადამიანთა მთელმა ჯგუფმა, და ამიტომ დანაშაულის ეს ფორმა განსაკუთრებით საშიშ შედეგებს უქადის ჩვენს საზოგადოებას.

დროა ერთხელ და სამუდამოდ მოვუღოთ ბოლო იმ, ჯერ კიდევ შემორჩენილ თვალსაზრისს, თითქოს ამა თუ იმ კონკრეტულ პირობებში წამატებებს, ასე ვთქვათ, კეთილი განზრახვით, ამა თუ იმ შრომითი კოლექტივის, ეკონომიკის დარგის ინტერესებისათვის მიმართავენ. არ შეიძლება იყოს ამაზე უფრო მცდარი, უფრო მავნე პოზიცია. წამატებებს სჩადიან მხოლოდ და მხოლოდ იმ კატეგორიის მუშაკთა ინტერესებისათვის, რომლებიც თავიანთი მომხვეჭელური ინტერესების დაკმაყოფილებისათვის მზად არიან ყველაფერი იკადრონ და პარტიისა და სახელმწიფოს აშკარა მოტყუებასაც არ ერიდებიან.

საზოგადოებისათვის არანაკლებ სოციალურ საშიშროებას წარმოადგენს აგრეთვე მუშტრულ-მომხვეჭელურ მისწრაფებათა დაკმაყოფილების ისეთი ხერხები, როგორიც არის ზომა-წონაში, ანგარიშში მოტყუება, გამოძალვა, სპეკულაცია. სწორედ ამ მოვლენების მასობრივი ხასიათია იმ ბოროტების თავიდათავი, რომელიც ჩვენი ეკონომიკისა და განსაკუთრებით მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარებისათვის მოაქვს ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, ჯანმრთელობის დაცვის დარგში არსებულ უხეშ დარღვევებს. მომხმარებლები ნებსით თუ უნებლიედ ემხრობიან ვიღაცის მომხვეჭელური ინტერესების მანკიერ წრეში, უფრო მეტიც, აკმაყოფილებენ ამ ინტერესებს. ხშირად ერთგვარი ჩვეულებრივი ნორმა ხდება საქონლის შეძენა სპეკულანტებთან, ზედმეტი ფულის მიცემა მომსახურების სფეროს მუშაკებისათვის და ა. შ. უფრო მეტიც, ზოგჯერ იმათ, ვინც პრინციპულობას იჩენს ამ საკითხში, განზე უდგებიან და მხარს არ უჭერენ სხვები, რაც არსებითად დარღვევის ხელშეწყობას ნიშნავს.

მომსახურების სისტემაში არსებული ნეგატიური მოვლენების გამრყვნელი გავლენა დაღს ასვამს ჩვენი საზოგადოების არასაწარმოო სფეროსაც. მომხვეჭელური მისწრაფება მეცნიერ, მუშაკთა, პედაგოგთა სფეროშიც კი შეიჭრა, რომელთაგან ზოგიერთი რეპეტიტორობას, პლაგიატობას მისდევს, ზოგჯერ კი არც სხვათა მეცნიერული შრომების მითვისებას თაკილობს.

ჯერ კიდევ გვიხდება ლაპარაკი კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინებათა ისეთ საშიშ ფორმაზე, როგორიც არის მექრთამეობა. ქრთამი სოციალისტური საზოგადოების პირობებში სხვისი მონაგარის მითვისების ყველაზე ცინიკური და აშკარა ხერხია. მექრთამეობა სწორედ იმით არის საშიში, რომ უაღრესად მჭიდროდ უკავშირდება კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინების ყველა ფორმას, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ. იგი შეიძლება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეიჭრას. ქრთამი შეიძლება გვევლინებოდეს როგორც უნივერსალური საშუალება, რომელიც სხვა დანაშაულობათა მთელი ჯაჭვის მანკიერ წრეს კრავს. ქრთამი განსაკუთრებით საშიშია იმით, რომ იგი უთუოდ არის დაკავშირებული იმ თანამდებობის პირთა მიერ სოციალისტური კანონიერების დარღვევასთან, რომლებიც სახელს უტეხენ ხელმძღვანელ ორგანოებს. მთელი რიგი წლების მანძილზე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს საკონტროლო-სარევიზიო განყოფილების თანამდებობის პირნი დაძინი, ზურაბიანი და ლისიაკი ბოროტად იყენებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას და დოკუმენტური რევიზიების მოწყობის ნაცვლად დიდძალ ქრთამს ართმევდნენ ვაჭრობის მუშაკებს. სწორედ ქრთამმა შეკრა თბილისის შამპანური ღვინოების კომბინატისა და სავაჭრო ქსელის მუშაკთა დანაშაულებრივი მოქმედების ჯაჭვი და არ მოგვცა შესაძლებლობა დროზე გამოგვევლინა განსაკუთრებით დიდი ოდენობის დატაცება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დააპატიმრეს სკკპ წევრები, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს უფროსი რევიზორ-კონტროლიორი კაპანაძე, ვარკეთილის ღვინის ქარხნის ტექნოლოგი ხატიაშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს რესპუბლიკური საავადმყოფოს ორდინატორი ექიმი ლუტიძე და ვინმე მარქაროვა, რომელიც არსად არ მუშაობდა; მათ დანაშაულებრივი ჯგუფი ჰქონდათ შექმნილი და ცხრა მოქალაქეს საერთო ანგარიშით 66 ათასი მანეთი გამოსძალეს იმისათვის, რომ პირდებოდნენ, შვილებს უმაღლეს სასწავლებელში და ფარმაცევტულ ტექნიკუმში მოგიწყობთო. ეს, უდავოდ, დამაფიქრებელი ფაქტია: მაინც, რაოდენ ძლიერია წინა წლების დანაშაულებრივი ინერციის ძალა, რომ ადამიანებს დღესაც არაფერი სჯერათ თაღლითებისა, არამედ დანაშაულებრივ კავშირს ამყარებენ მათთან და უზარმაზარ თანხებს აძლევენ. მაინც რაოდენ [illegible] ძალა, თუ მას შეუძლია ზოგიერთ პარტიის წევრს, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს, რომლებსაც კარგი თანამდებობა და მდგომარეობა აქვთ, ხელი აღებინოს სინდის-ნამუსზე, ბოლოს, დაავიწყოს სამართლიანი სასჯელის შიში და გამოძალვისა და აფერისტობის გზაზე დააყენოს. ეს მოწმობს, რომ ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში ჯერ კიდევ არ ამოთხრილა ქრთამის ყოვლისშემძლეობის ფსიქოლოგიური სტერეოტიპი, კვლავ კიდევ სჯერათ, რომ მართლაც „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს“.

საზოგადოებაზე ყველაზე საშიშ, გამხრწნელ ზეგავლენას კერძომესაკუთრული ტენდენციები მაშინ ახდენენ, როცა ისინი შეაღწევენ პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ ორგანოებში, სამეურნეო მართვის სფეროში და იწვევენ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის მორალურ დეგრადაციას, პარტიული ეთიკის ნორმების დარღვევას. კარიერიზმი, პროტექციონიზმი, ბიუროკრატიზმი, ნათლიმამობა, კუთხურობა, ხელქვეითებისადმი ავდებულ-ბატონკაცური დამოკიდებულება, კერძომესაკუთრული ტენდენციების გამოვლინების ყველაზე წაფული და მავნე ფორმებია, რომლებიც პიროვნების საქციელის ფსიქოლოგიური განწყობისა და ქცევის მოტივების სიღრმეში ძევს.

ეს თავისი არსით გადმონაშთური მოვლენებია, რომლებიც სათავეს იღებენ ანტაგონისტური საზოგადოების გაბატონებული ექსპლუატატორული, მდიდარი კლასების უპირატესობათა სისტემის მანძილზე ჩამოყალიბებულ სისტემაში, და ამიტომ სოციალისტური საზოგადოების პირობებში მათი გამოვლენა წანამძღვრებს უქმნის პარტიული და სახელმწიფო ორგანოებისადმი მასების ნდობის დაკარგვას და საბჭოთა ადამიანების კონსტიტუციური უფლებების შელახვას, რაც კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე.

გარდა ამისა, აღნიშნული მანკიერებებით შეპყრობილი თანამდებობის პირების სოციალური მდგომარეობა განაპირობებს მათს უარყოფით ზემოქმედებას არა მარტო ცალკეულ პირებზე, არამედ ადამიანთა მთელ ჯგუფებზეც, შრომითი კოლექტივების მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზეც. სოციალისტური ბუნებისათვის უცხო ამ გამოვლინებათა უმრავლესობა არ ისჯება სისხლის სამართლის კანონებით, რაც ნიშნავს, რომ მათი ამოთხრა შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი გაკიცხვისა და დაგმობის მეთოდებით, ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდისათვის გულმოდგინე და მიზანდასახული მუშაობით, მათი შერჩევისა და განაწილების ლენინური პრინციპების განუხრელი განხორციელებით.

როცა ვლაპარაკობთ კერძომესაკუთრულ ტენდენციებზე და მათი გამოვლინების ფორმებზე, მუდამ მხედველობაში გვაქვს მათი წარმომშობი საერთო მიზეზი — ეს არის კერძომესაკუთრული მორალი, რომლის ეთიკური არსი უტოლდება ეგოიზმსა და ინდივიდუალიზმს, საზოგადოებისაგან პიროვნების გაუცხოებას. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ეს ფსიქოლოგიური გადმონაშთები ჯერ კიდევ იდეურ-აღმზრდელობითი ზემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე რთული უბანია. და, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ კერძომესაკუთრული ინსტინქტი პასიური კი არა, აქტიური ძალაა, რომელსაც შეუძლია შეიგუოს ახალ გარემოს, მიმიკრია და ადაპტაცია განიცადოს ნებისმიერ პირობებში, და თავის მოქმედებას გასამართლებელი მოტივებიც კი მოუნახოს.

კერძომესაკუთრული ინსტინქტების მქონე ადამიანს თავისი მიზნების განხორციელებისათვის სჭირდება თანამზრახველნი, ამ ბოროტების მატარებლებს საკმაო მომენტში შეუძლიათ გაერთიანდნენ, შემჭიდროვდნენ, ამიტომ მათ უნდა დაუპირისპიროთ სიკეთის ძალების, ყველა იმ პატიოსანი ადამიანის აქტიურობა, სოლიდარობა და ერთიანობა, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივი და სულიერი მონაპოვრები.

ადამიანთა შორის ჭეშმარიტად ჰუმანური დამოკიდებულება, კეთილმოსურნეობის, გულისხმიერების, ამხანაგური ურთიერთდახმარების, ურთიერთმომთხოვნელობის დამოკიდებულება დაუპირისპირდება კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, თუ აქტიურ აღმზრდელობით ძალად იქცევა პიროვნებაზე საზოგადოების შეგნებული ზემოქმედების, ამასთან მრავალფაქტორიანი და კომპლექსური ზემოქმედების შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი კომუნისტების ყურადღებას მუდამ მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა კომპლექსური მიდგომა კერძომესაკუთრული გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლისადმი, ესე იგი, ზემოქმედების ადმინისტრაციული ზომების ორგანული ერთიანობა, სოციალისტური ეკონომიკის კანონებისა და მექანიზმების მაქსიმალური ამოქმედება და მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ეფექტიანობის კარდინალური ამაღლება, მათთვის სოციალისტური ცხოვრების წესის ანტიპოდებისადმი აქტიური, შეურიგებელი პოზიციის ჩანერგვა. ჩვენი გამოცდილება მოწმობს, რომ იქ, სადაც უზრუნველყოფილია ადმინისტრაციული, ეკონომიკური და აღმზრდელობითი ღონისძიებების ერთიანობა, მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული.

როცა ვლაპარაკობთ უკომპრომისობაზე ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში, მხედველობაში გვაქვს არა მარტო

(დასასრული მე-3 გვ.)

დავძლიოთ კერძომესაკუთრული ტენდენციები, დავამკვიდროთ კომუნისტური მორალის ნორმები

(დასასრული).

...მავნე აქციები, რომლებსაც ადმინისტრაციული ორგანოები ატარებენ დამტაცებლების, სპეკულანტების, მექრთამეების და სხვათა წინააღმდეგ, არამედ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელებაც. იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, მაგრამ იგი უნდა იყოს განპირობებული და განმტკიცებული ეკონომიკური სფეროს შესაბამისი ბალანსით.

უკანასკნელი ხუთწლედების მანძილზე ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მომხდარმა ძვრებმა ამისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა.

პარტიამ დროულად გაითვალისწინა ამ ძვრების ხასიათი და შეიმუშავა მართვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერების კონსტრუქციულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. ეს კი, თავის მხრივ, წანამძღვრებს უქმნის დაგეგმვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის დონის ამაღლებას, აღრიცხვისა და კონტროლის, მთელი საგეგმო-ეკონომიკური მუშაობის ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას.

ეს რთული ამოცანებია. ამასთან, ისინი უშუალოდ, ორგანულად არიან დაკავშირებული კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის მიმდინარეობასთან. ყოველი წარმატება, რომელიც მიღწეულია წარმოების დაგეგმვისა და მართვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უახლესი მიღწევების დანერგვის საფუძველზე მეურნეობრიობის სრულყოფის საქმეში, უნდა შევაფასოთ როგორც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი კერძომესაკუთრული ტენდენციების მკვებავი ფაქტორებისა და ფორმების ლიკვიდაციის გზაზე.

სოციალიზმის პირობებში სახელმწიფო ხდება მთელი საზოგადოების მასშტაბით მეურნეობრიობის ერთიანი სუბიექტი და ობიექტი. ეს ფაქტორი სოციალიზმის უდიდესი უპირატესობაა დანაწევრებულ კაპიტალისტურ ეკონომიკასთან შედარებით, რომელსაც ახასიათებს კონკურენცია, ანარქია და კრიზისები, რასაც ჩვენი ავისმდომნიც კი აღიარებენ. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოციალიზმის წარმოებითი ურთიერთობების სისტემა შეიცავს, მართალია სახეშეცვლილ, მაგრამ რეალურად არსებულ ელემენტებს, რომლებიც მემკვიდრეობით გადმოგვეცა სოციალიზმამდელმა საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ფორმაციამ: ეს არის სასაქონლო წარმოება, ღირებულების კანონი, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. ამიტომ საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ სახელმწიფო მართვის ეკონომიკური ბერკეტები, ამასთან გავითვალისწინოთ სოციალიზმის ეკონომიკური კანონები და აღმოვფხვრათ კერძომესაკუთრული მისწრაფებების წარმოშობის პირობები იქ, სადაც აღნიშნული ელემენტები განსაკუთრებით ხშირად უწყობს ხელს ამას.

ამჟამად ჩვენი სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარების სტიმულირებას. ეს მეურნეობა სოციალიზმის პირობებში ინარჩუნებს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილების დამატებითი წყარო.

ამასთან, პირადი დამხმარე მეურნეობა საზოგადოებრივთან შედარებით ნაკლებად განიცდის მაკონტროლებელ საზოგადოებრივ ზემოქმედებას და ამიტომ მომხვეჭელობით შეპყრობილი ადამიანებისათვის იგი შეიძლება ზოგჯერ სპეკულაციის წყაროც გახდეს. ამიტომ პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები უნდა ეწეოდნენ პროფილაქტიკურ მუშაობას ამის თავიდან აცილებისათვის. მეორე მხრივ, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა უწიონ პირად მეურნეობებს — მოამარაგონ ისინი სასუქით, საკვებითა და ტექნიკით, შეუქმნან სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებისა და დამზადების მაქსიმალურად ხელსაყრელი და პატიოსანი პირობები.

სულ ცოტა ხნის წინათ სამრეწველო საწარმოთა სამეურნეო შედეგების შეფასების არასრულყოფილი კრიტერიუმები ხელს უწყობდა ნეგატიური მომენტების წარმოქმნას თვით საწარმოო სფეროშიც, რომელსაც მთლიანად სახელმწიფო არეგულირებს: საწარმოები ითვალისწინებდნენ პროდუქციის მომგებიანობას, რენტაბელობას და ზოგჯერ არღვევდნენ სახელმწიფოს მიერ დადგენილ ასორტიმენტს, აწარმოებდნენ უფრო მომგებიან პროდუქციას ნაკლებად მომგებიანი, მაგრამ საზოგადოებისათვის ასევე საჭირო პროდუქციის გამოშვების საზიანოდ. ამის შედეგად საწარმოთა სამეურნეო ინტერესები დაუპირისპირდა საზოგადოების ინტერესებს, ეკონომიკური მიზნები შეეჯახა სოციალურს.

სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ მიზნად ისახავს ამ წინააღმდეგობათა აღმოფხვრას, ნატურალური მაჩვენებლების როლის გაძლიერებას, რაც საშუალებას მოგვცემს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შედეგები შევაფასოთ საზოგადოებისათვის საჭირო მატერიალური დოვლათის წარმოებაში მათი რეალური წვლილის მიხედვით, და ამით შევამციროთ ზოგიერთი ღირებულებითი მაჩვენებლისათვის დამახასიათებელი ნეგატიური მომენტების გამოვლინების სფერო.

დადგენილებაში მოცემული მითითებების რეალიზაცია, საწარმოთა მუშაობის შეფასების კრიტერიუმების, სამეურნეო ანგარიშისა და გეგმიანი ფასწარმოქმნის მთელი სისტემის შემდგომი სრულყოფა, იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, რომლებიც ხელშემწყობ პირობებს უქმნის ყოველგვარ დაროდვებს, თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა კოლექტიურ მეცადინეობას მოითხოვს.

ჩვენმა მეცნიერებმა სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი წარმოების მართვის, დაგეგმვისა და ნორმირების, აღრიცხვისა და კონტროლის სრულყოფის მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ პრობლემებს.

მუშტრულ-მომხვეჭელური ინტერესებისაკენ ამა თუ იმ ადამიანის გადახრის წანამძღვარი შეიძლება გახდეს აგრეთვე ხარვეზები შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელობა სათანადოდ არ ზრუნავს მატერიალური სტიმულირებისათვის, მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროსათვის, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების შემოქმედებითი პოტენციის რეალიზაციას, მისი სოციალური მნიშვნელობისა და ღირსების დამკვიდრებას.

მომხსენებელმა მოიყვანა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მაგალითი, რომელმაც უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ეკონომიკური, სოციალური, აგრეთვე იდეურ-აღმზრდელობითი, ზნეობრივი პრობლემების კომპლექსური გადაჭრის გზით შეძლო უიმედოდ ჩამორჩენილი საწარმოდან გადაქცეულიყო ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე საწარმოდ. კონკრეტულმა, რეალურმა ზრუნვამ ადამიანებისათვის, შრომითი კოლექტივის სოციალური განვითარებისათვის, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ამასთან ზრუნვამ წარმოების ეფექტიანობის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, პროდუქციის ხარისხისა და მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური სტიმულირებისათვის, ხელმძღვანელობას შესაძლებლობა მისცა მოკლე დროში ქარხანაში მკვეთრად შეემცირებინა კადრების დენადობა, შრომის დისციპლინის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების, დატაცებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების რაოდენობა.

სწორედ ეკონომიკური სტიმულირების ბერკეტების, წარმოების ზრდისა და სრულყოფის რეზერვების რეალიზაციის უნარიანმა შეხამებამ სოფლის მშრომელთა სოციალური და კულტურული განვითარებისათვის, ყოფაცხოვრებისათვის ყოველდღიურ ზრუნვასთან განაპირობა აბაშის რაიონში ყველასათვის ცნობილი ექსპერიმენტის წარმატება.

შრომის ცუდი პირობები, უყაირათობა, სათანადო კონტროლის და ჯეროვანი აღრიცხვის უქონლობა, უსაფრთხოების ტექნიკის, შრომატევადი პროცესების მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და შრომის კულტურის დაბალი დონე, წარმოების არითმია, კოლექტივის ცხოვრების სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემებისადმი ხელმძღვანელობის გულგრილობა, ყოფა-ცხოვრების მოწყობის, საწარმოო ესთეტიკის საკითხთა უგულებელყოფა და სხვა მიზეზები არყევენ შრომის დისციპლინას, ამცირებენ სოციალისტური შრომითი კოლექტივის შესაძლებლობებს უფრო სრულად ფლობდეს თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას — იყოს პიროვნების სოციალური ჩამოყალიბების ცენტრი. ამგვარი ხარვეზების შედეგად შრომითი კოლექტივების ზოგიერთ წევრს უქვეითდება კოლექტიური შეგნება, იმარჯვებს ინდივიდუალისტური ინტერესები, სულ უფრო მეტად სჭარბობს ჩვენთვის უცხო განწყობა.

საჭიროა აგრეთვე ბოლო მოვუღოთ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურების სოციალისტური პრინციპის არამყარ განხორციელებას, შრომის ანაზღაურების სისტემის არასაკმარის მოქნილობასა და დიფერენციულობას, ხელფასის განსაზღვრისას მუშაკის კვალიფიკაციის, მისი შრომის ხარისხისა და სოციალური მნიშვნელობის გაუთვალისწინებლობას, რაც იწვევს გაუპიროვნებასა და გათანაბრებას.

ამ სფეროში უკონტროლობამ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე არყევდა აღზრდის, შრომისა და პროფესიის არჩევისადმი ადამიანთა სოციალისტური დამოკიდებულების მატერიალურ და მორალურ-პრესტიჟულ ბერკეტებს, ის გამოიწვია, რომ რესპუბლიკაში ადამიანთა რაღაც ნაწილს კანონიერი ხელფასი აღარ მიაჩნდა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთადერთ საშუალებად. საზოგადოების საკეთილდღეო პატიოსანი შრომა უნდა იყოს ადამიანის, როგორც პიროვნების, თვითდამკვიდრების ერთადერთი საფუძველი.

გარდა ამისა, საჭიროა ჩვენს ადამიანებს ჩავუნერგოთ საზოგადოებრივი შრომისადმი ყაირათიანი დამოკიდებულება, ამასთან გვახსოვდეს ლენინის ცნობილი სიტყვები იმის შესახებ, რომ „კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება უბრალო მუშების თავგანწირული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, თითოეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის და სხვა პროდუქტების დაცვაზე, რომლებიც ხვდება არა მომუშავეებს პირადად და არა მათ „მახლობლებს“, არამედ „შორეულებს“, ე. ი. საერთოდ მთელ საზოგადოებას, ათეულ და ასეულ მილიონობით ადამიანს...“

სოციალიზმის ანტიპოდურ ტენდენციებს იწვევს ხარვეზები, რომლებიც არის კავშირგაბმულობის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, კომუნალურ-საბინაო, სატრანსპორტო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სხვა ორგანიზაციათა მუშაობაში. მშრომელები, როცა საზოგადოებრივ სექტორში ვერ პოულობენ თავიანთი საარსებო საჭიროებებისა და მოთხოვნილებების სრულფასოვანი და კანონიერი დაკმაყოფილების შესაძლებლობას, იძულებული ხდებიან მიმართონ კერძო მესაკუთრეს, აჰყვნენ გამომძალველის ნებას, და ამით, ობიექტურად ხელს უწყობენ ჩვენი ცხოვრების წესისათვის უცხო ზნე-ჩვეულებების გავრცელებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის V პლენუმზე შემთხვევით როდი წამოიჭრა მთელი სიმწვავით მომსახურების სფეროს საქმიანობის კარდინალური გაუმჯობესების საკითხი.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სამედიცინო მომსახურების, მუშაკთა შრომის ანაზღაურების გადიდების ღონისძიებანი, რაც კარგ სოციალურ-ეკონომიკურ წანამძღვრებს უქმნის ამ სფეროში ნეგატიური მოვლენების წარმატებით დაძლევას.

სერიოზული ძვრები შეინიშნება აგრეთვე მასობრივი მოხმარების ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებაში. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან პროდუქციის, განსაკუთრებით მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის დაბალი ხარისხი დიდად უბიძგებს ადამიანს ხარისხოვანი საქონელი იშოვოს შემოვლითი გზებით და, ფაქტობრივად, ხარისხოვანი საქონლის დეფიციტი კერძომესაკუთრული მუშტრული ინტერესების გავრცელების და ზოგჯერ ისეთი მოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხდება, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის კანონებით. მაგრამ, რაც კიდევ უარესია, დეფიციტი ადამიანების შეგნებაში ნერგავს ცრუ, დეფორმირებულ წარმოდგენებს ასეთი გზების სოციალური უთანაბრობის შესახებ. ამგვარად, თითქოსდა წმინდა ეკონომიკური პრობლემა არსებითად ზნეობრივ პრობლემად იქცევა.

საჭიროა ხსნა დავაყენოთ აზრის მთელი საქმე, რომ ყოველ ადამიანს პატარაობიდანვე ვასწავლოთ სწორად ფულიდობის ნივთების ფუნქციას, ისწავლის მათი გამოყენებითი მნიშვნელობა, ფეტიშად, თვითმიზნად არ გაიხადოს ყოფა.

ღირებულებათა სოციალისტური სკალის ჩამოყალიბება, ხოლო ამის ფარგლებში მატერიალური კეთილდღეობის მოხმარების გონივრული საზღვრების პრობლემის გადაწყვეტა ერთმნიშვნელოვნად არ ხდება. დიფერენცირებულ მიდგომასა და განმარტებას მოითხოვს სოციალიზმის განვითარების ყოველ კონკრეტულ ეტაპზე.

მარქსისტ-ლენინელები არასოდეს არ ყოფილან ასკეტიზმის, ადამიანთა მოთხოვნილებების ხელოვნურად შეზღუდვის მომხრენი. მაგრამ საჭიროა მკვეთრად გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან ადამიანთა მატერიალური მოთხოვნილებებისა და მატერიალური შესაძლებლობების კანონიერი ზრდა და მუშტრული, მომხვეჭელური განწყობილებანი, რომელთა დროს ადამიანი პარაზიტულ, ძალმომრეობით-აგრესიულ საშუალებებსაც კი არ თაკილობს მოგების, გამდიდრების, საკუთარი კეთილდღეობის გულისთვის.

მოხმარება და მომხმარებლობა სრულიად სხვადასხვა ცნებებია. მოხმარება ცხოვრებისეული აუცილებლობაა, მომხმარებლობა კი მტაცებლური რუდიმენტი, ანტაგონისტური საზოგადოების კერძომესაკუთრულ ურთიერთობათა არსის აშკარა გამოხატულება. კომუნისტები ყოველთვის მოითხოვდნენ და მოითხოვენ მშრომელი მასებისათვის მოხმარების გაფართოებას, მაგრამ მტკიცედ ილაშქრებენ მომხმარებლობის წინააღმდეგ, რომელიც სოციალური პარაზიტიზმის ნაირსახეობაა. სწორედ ეს საკითხი გახდა უკანასკნელ ხანს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის საგანი.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის აპოლოგეტები, რომლებსაც კარგად ესმით, რომ უკვე შეუძლებელია სოციალიზმის ეკონომიკური ძლიერების ბასტიონებისა და იდეოლოგიური საფუძვლების შერყევა, არსებითად ცვლიან ანტიკომუნისტური პროპაგანდის სტრუქტურას, შინაარსს, მეთოდებსა და ტაქტიკას, სულ უფრო ხშირად ცდილობენ გამონახონ საბჭოთა ადამიანების იდეური სიმტკიცის შერყევის ახალი საშუალებანი, ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობის ხარვეზები და ისარგებლონ ამით. სწორედ ახლა დასავლეთის პროპაგანდა თავისი ყალბი „ხმებით“ განუწყვეტლივ ზრდის იმ პუბლიკაციებისა და რადიოგადაცემების ხვედრით წილს, რომელთა მიზანია ჩაუნერგონ საბჭოთა ადამიანებს სხვადასხვაგვარი ცრურწმენები და ბურჟუაზიული მომხმარებლური ფსიქოლოგიის და მეშჩანური მორალის სტერეოტიპები, გააღვივონ კერძომესაკუთრული მისწრაფებანი და ინსტინქტები. ამ მიზნით ქმნიან „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების“, „მასობრივი მოხმარების საზოგადოების“, „ნეგატიური კონვერგენციის“ ანტიკომუნისტურ თეორიებს, იყენებენ „სოციოლოგიური პროპაგანდის“ მეთოდებს.

ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც კაპიტალის ინტერესებს ემსახურება, მთლიანად იქითკენ არის მიმართული, რომ საყოველთაოდ დანერგოს მომხმარებლობა, თანაც ამ დებულებას თეორიულ ბაზას უქმნიან: ბურჟუაზიული ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ადამიანი თავისი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ბუნებით ეგოისტი იყოს, და ამიტომ, იგი უწინარეს ყოვლისა, მომხმარებელიაო. მაგრამ კაცობრიობა მარტოოდენ მომხმარებლურ მოთხოვნილებებს რომ აჰყოლოდა, ცივილიზაციის ისტორია ხომ პირველყოფილ დონეზე დარჩებოდა.

სოციალიზმისა და კაპიტალიზმის იდეოლოგიური პოზიციების ერთ-ერთი მთავარი განსხვავებაა შრომის არსისა და სოციალური როლის დიამეტრულად საწინააღმდეგო გაგება. მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით, საზოგადოებისა და ადამიანის პიროვნების განვითარებაში უპირველესი როლი განეკუთვნება შრომას. იგი არა მარტო მატერიალური დოვლათის წარმოების საშუალება და ადამიანის ცხოველმოქმედების ბუნებრივი პირობაა, არამედ სოციალური სამართლიანობისა და პიროვნების ზნეობრივი სრულყოფის აუცილებელი პირობაც არის.

თუ შრომა არ აყალიბებს ადამიანს და არ ამდიდრებს მას მსოფლმხედველობისა და ზნეობრივ-სულიერი თვალსაზრისით, მაშინ ხდება შრომის გაუცხოება. და იგი ვერ გადაიქცევა შემოქმედებითს აქტად, ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულოს სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სკპ XXV ყრილობაზე, „დიდ ზემოქმედებას ახდენს სამეურნეო პრაქტიკაზე, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ზნეობრივ ატმოსფეროზე“.

უკანასკნელ წლებში დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ჩვენს რესპუბლიკას, სახელდობრ იმ გადამწყვეტ ბრძოლას, რომელსაც ეწევა საქართველოს კომპარტია, რესპუბლიკის ყველა მშრომელი იმ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში მეცნიერული ოპუსებიც კი გაჩნდა, რომლებშიც ჩვენი პრესის მასალებით იკვლევენ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს. სარგებლობენ რა იმით, რომ ჩვენ აშკარად და გაბედულად ვავლენთ და ვავლენთ ყველა ნაკლს და სულ უფრო ვაფართოებთ ბრძოლას ადამიანისათვის, ბურჟუაზიული მკვლევრები ჩვენივე კრიტიკული პუბლიკაციებიდან იღებენ ნეგატიურ ფაქტებს, თავისებურად განმარტავენ და ცდილობენ გამონაკლისი ტიპურად გაასაღონ, ცალკეული ფაქტები გადააქციონ სოციალურ მოვლენად, და ამით დაამტკიცონ ანტისაზოგადოებრივი მოვლენების დასაძლევად საქართველოს კომუნისტთა მტკიცე კურსი ამაო და უპერსპექტივოაო.

ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ ბურჟუაზიული პროპაგანდის გაწაფული ძირგამომთხრელი საქმიანობა იმით გამოიხატება, რომ აქ სულ უფრო დამახასიათებელი ხდება „წაქეზების ტაქტიკა“; საქმოსნებს, მექრთამეებს, სპეკულანტებსა და სისხლის სამართლის დამნაშავეებსაც კი სულ უფრო ხშირად ასაღებენ პოლიტიკურ მებრძოლებად, ხალხის თავისუფლებისმოყვარე სულის გამომხატველებად. ბუნებრივია, ყველა ჯურის თაღლითებსა და მომხვეჭელებს ხელს აძლევთ ერის ინტერესებისათვის „მებრძოლის“ ასეთი ნიღაბი. განა სიმპტომური არ არის რომ, როგორც კი რომელიმე ხილის სპეკულანტს ჯეროვანს მიუზღავთ, იგი მაშინვე აჰყვება თავისი საზღვარგარეთელი მომაგრების „ხმას“; დახეთ, როგორ გვიზღუდავენ თავისუფლებასაო, ანტიკომუნისტური პროპაგანდა კერძომესაკუთრულ ტენდენციებსა და წვრილბურჟუაზიულ განწყობილებას ერის ფხიანობის, ბუნებრივი გამჭრიახობის, უნარისა და მაღალი კულტურული მოთხოვნილებების გამოვლინებად ასაღებს. ესაოდა, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია ბუნებრივი თვისებაა, ხოლო ნეგატიური გამოვლინება სხვა არა არის რა, თუ არა „ქედუხრელთა“ ბრძოლა ეროვნული თავისთავადობისათვისო.

იდეოლოგიური ბრძოლის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით ნათლად ვლინდება სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრობლემების მჭიდრო კავშირი. ყოველი ხარვეზი ჩვენს სამეურნეო მუშაობაში, მართვაში, ყოველი შეცდომა იდეურ და ზნეობრივ აღზრდაში იქცევა იმ ბზარად, რომლის საშუალებითაც ცდილობენ შემოგვეპარონ ჩვენთვის უცხო ჩვეულებანი, შეხედულებანი და ცხოვრების წესის ელემენტები.

მშრომელთა კეთილდღეობა, მათი დღენიადაგ მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ჩვენი პოლიტიკის მიზნობრივი დებულებაა. მაგრამ ამასთანავე საჭიროა ამ კეთილდღეობის ბაზაზე ყალიბდებოდეს და ვითარდებოდეს ჰარმონიულად განვითარებული, სულიერად მდიდარი, სოციალისტური ცხოვრების წესის ჰუმანური პრინციპების მიმდევარი ადამიანი. სწორედ ეს არის პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკასთან ახალი ადამიანის კომუნისტური აღზრდის მიზნების ორგანული ერთიანობა. ამიტომ დღეს სამეურნეო მშენებლობისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, მივაღწიოთ ყოველი ადამიანის მატერიალური ინტერესებისა და მიზნების ჰარმონიულ შეხამებას მთელი საზოგადოების ეკონომიკურ ინტერესებთან და მიზნებთან.

განვითარებული მოქალაქეობრივი შეგნების მქონე ადამიანი ადვილად ითვისებს იმ ჭეშმარიტებას, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ისევეა, როგორც ოჯახში: ყველა დამოკიდებულია ყველაზე. თითოეულის კეთილდღეობა დამოკიდებულია როგორც თავის, ისე იმათ შრომაზე, დისციპლინაზე, ყაირათიანობაზე, წარმატებებზე, ვინც გვერდით უდგას.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი უპირველესი ამოცანაც — მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი ადამიანი გრძნობდეს თავის, როგორც ბატონ-პატრონის, მდგომარეობას საზოგადოებაში, რომ იგი გრძნობდეს პასუხისმგებლობას საზოგადოების, სახელმწიფოს დოვლათიანობისა და კეთილდღეობისათვის, იცოდეს, რომ მისი უშუალო ვალია გაუფრთხილდეს და ამრავლოს საზოგადოებრივი დოვლათი თავისი პატიოსანი შრომით, ურომლისოდაც შეუძლებელია მისი პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესება.

დააკონკრეტა რა თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური აღზრდის პრობლემები, ლ. ი. ბრეჟნევმა სკპ XXV ყრილობაზე წამოაყენა და დაასაბუთა პიროვნების აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის დამკვიდრების ამოცანა. საბჭოთა ადამიანის სწორედ ეს თვისება ხდება დღეს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის, პიროვნების იდეური მრწამსის დონისა და ზნეობრივი საფუძვლების სიმტკიცის განმსაზღვრელი მაჩვენებელი. სწორედ ამიტომ მასების აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბება კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის უმნიშვნელოვანეს საშუალებად მიგვაჩნია. ამაში გვარწმუნებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებიც. როგორც მათმა ანალიზმა გვიჩვენა, კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგს ყველაზე ოპტიმისტურად ძირითადად ის ადამიანები აფასებენ, რომლებიც თვითონ აქტიურად იბრძვიან ამ ანტისოციალური მოვლენების წინააღმდეგ. და, პირიქით ყველას, ვინც პასიურად და შემრიგებლურად ეკიდება კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, საეჭვოდ მიაჩნია, რომ მომავალში ამ ბრძოლამ რამე ნაყოფი გამოიღოს.

პიროვნების აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის საფუძველია იდეური მრწამსი, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, ამიტომ უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა ხდება ის, რომ უზრუნველვყოთ მთელი სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის, პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების მაღალი მეცნიერული დონე, ცხოვრებასთან უშუალო კავშირით გავუწიოთ პროპაგანდა მეცნიერული კომუნიზმის დებულებებს, სოციალიზმის ისტორიულ უპირატესობებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას მასების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების სფეროში. ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს ამ მიმართულებით. უნდა ითქვას, რომ საერთოდ ჩვენ საკმაოდ კარგად ვისწავლეთ, თუ როგორ შევძინოთ ადამიანს გარკვეული თეორიული ცოდნა, მაგრამ დღეს ეს უკვე აღარ კმარა. იდეოლოგიური მუშაობა ისეთნაირად უნდა წარვმართოთ, რომ ეს ცოდნა გადაიზარდოს მრწამსად, მოქმედებად, ზნეობრივ პოზიციად. ამ ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია პროპაგანდისტული მუშაობის ახალი ფორმების, მეთოდებისა და შინაარსის დაუცხრომელი ძიება, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და შრომით კოლექტივებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის რადიკალური გაუმჯობესება.

სკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, იდეოლოგიური მუშაკთა 1979 წლის ოქტომბრის საკავშირო თათბირის დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით სრულიად ნათელი ხდება, რომ დღეს განსაკუთრებით საჭიროა გავითვალისწინოთ საბჭოთა ადამიანების გაზრდილი ინტელექტუალური, განათლებისა და კულტურის დონე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზეგავლენით შრომის შინაარსისა და ხასიათის შეცვლა, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების დინამიკურობა, ადამიანთა ცხოვრებაში თავისუფალი დროის ხვედრითი წილის გადიდება, რაც მოითხოვს მის უფრო რაციონალურ გამოყენებას ადამიანის სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ყოველივე ეს რთული და კანონზომიერი პროცესებია, რომლებიც განაპირობებს ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა სოციალური, პროფესიული და დემოგრაფიული ჯგუფების როგორც მატერიალური, ისე სულიერ-ზნეობრივი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დიფერენციაციის სულ უფრო საგრძნობ ტენდენციას. და სწორედ ამიტომ დღეს ყოვლად შეუწყნარებელია იდეოლოგიური მუშაობის გაუპიროვნება, უმისამართობა, არაკონკრეტულობა, მისი მოწყვეტა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანებისაგან, შრომითი კოლექტივების საწარმოო საქმიანობის კონკრეტული პრობლემებისაგან.

აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის, კომუნისტური მრწამსის ჩამოყალიბება დიდად არის დამოკიდებული სიტყვისა და საქმის ერთიანობაზე. ხელმძღვანელი კადრების მუშაობაში განსაკუთრებით შეუწყნარებელია, როცა სიტყვა სხვაა, საქმე კი სხვა და ეს კიდევ ერთხელ მთელი პარტიული პრინციპულობით ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე. ეს კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის ძალზე მნიშვნელოვანი მოთხოვნებია. არსებითად ხომ იმ სიტყვებისა და აზრების იდეურ ღირებულებაზე, რომლებიც მასებში შეგვაქვს, სრულად მხოლოდ იმ მოქმედების ღირებულების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომელშიც პრაქტიკულად ისხამს ხორცს სიტყვა და იდეა.

სწორედ ამიტომ არის, რომ დღეს კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს ყველა დონის ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკური წრთობა, მათი პროფესიულ-საქმიანი კვალიფიკაციის ყოველნაირი ამაღლება და, რაც მთავარია, ბრძოლა მათი მორალური სისპეტაკისა და მაღალი ზნეობრივი თვისებებისათვის.

აღმზრდელობითი მუშაობის ყველა მიმართულებას შორის სწორედ ზნეობრივი მრწამსის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოყალიბებაა გამონაკლისი — იგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ლოკალურ პროცესს, რომელიც რომელიმე სპეციალური სოციალური ინსტიტუტის ამოცანებს ექვემდებარებოდეს. პირიქით, ზნეობრივი აღზრდა ყოვლისმომცველია, მისით უნდა იყოს გამსჭვალული იდეოლოგიური ზემოქმედებისა და სოციალური აზრის ყველა უბანი და სფერო. და ამიტომ აქ შეუცვლელია დადებითი მაგალითის ძალის, ნეგატიური მოვლენებისადმი ჩვენი ცხოვრების დადებითი ნიმუშებისა და მოვლენების დაპირისპირების მეთოდის გამოყენება, ესე იგი ადამიანების იმ რწმენისა და მრწამსის განმტკიცება, რომ რეალურად გარდაუვალია განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების ზნეობრივი პრინციპებისა და იდეალების გამარჯვება.

ჩვენი საზოგადოების დადებითი მაგალითების, ზნეობრივი იდეალების პროპაგანდაში მთავარი როლი განეკუთვნება პრესას, ტელევიზიასა და რადიოს. ბოლო წლების გამოცდილების საფუძველზე ისინი უფრო მებრძოლურად, შემტევად, კრიტიკული მგზნებარებით გამოდიან კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის მატარებელთა წინააღმდეგ... ამ თემატიკისადმი მიძღვნილი მასალები უფრო ღრმა, ანალიზური და, თუ გნებავთ, უფრო დამაჯერებელიც გახდა.

მაგრამ ამავე დროს მასობრივი ინფორმაციის ორგანოები დღეს ჯერ კიდევ ჯეროვნად ვერ უმკლავდებიან კრიტიკული ინერციის ძალას, აყოვნებენ თავიანთი მუშაობის გადაყვანას ნეგატიური პროპაგანდის პოზიციებიდან პოზიტიური პროპაგანდის პოზიციებზე. ჩვენ სრულიადაც არ გამოვრიცხავთ, რომ პუბლიცისტური სიტყვითაც უნდა განვაგრძოთ და განვავითაროთ შეურიგებელი ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ, მაგრამ საჭიროა ისიც აღინიშნოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში ვისწავლოთ ადამიანისათვის ბრძოლაში ჩვენი წარმატებების უნარიანი, ყოველმხრივ მგზნებარე და გასაგები პროპაგანდა.

ზნეობრივად ამაღლებულმა, იდეურად მტკიცე, სოციალურად აქტიურმა პიროვნებამ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს გაზეთების ფურცლებზე, ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებში.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფესიული დონე კრიტიკული მასალებისა, სადაც საქმე ეხება მექრთამეებს, დამტაცებლებსა და სხვა ნაძირალებს, ხშირად უფრო მაღალია, ვიდრე ჩვენი მოწინავე ადამიანებისადმი მიძღვნილი მასალების პროფესიული დონე. პირველ შემთხვევაში ჟურნალისტები უფრო ახალ, საინტერესო ფორმებსა და უფრო მდიდარ ლიტერატურულ ენობრივ საშუალებებს პოულობენ მანკიერებათა მხილებისა და გამათრახებისათვის, რაც თავისთავად ურიგო არ არის. მაგრამ ცუდი ის არის, რომ იგივე ჟურნალისტები, როცა ჩვენს საუკეთესო ადამიანებს გვიხატავენ, თავს ვერ აღწევენ ბანალურ ერთფეროვნებას, ვერ გამოუნახავთ იმის საშუალებანი, რომ რაც შეიძლება სრულად დაგვანახონ მისი საუკეთესო თვისებები, ნებისყოფა, კეთილსინდისიერი შრომის მოტივები, შინაგანი სულიერი სამყაროს მთელი მრავალფეროვნება და სიმდიდრე, მაღალი ზნეობრივი პოზიციების სათავეები.

შემდეგ მომხსენებელმა თქვა, რომ ზოგიერთ ოჯახში მშობლები არათუ არ ცდილობენ ჩამოუყალიბონ შვილებს გონივრული მოთხოვნილებანი, არათუ არ ასწავლიან, როგორ დაიოკონ ზღვარს გადასული სურვილები, არათუ არ აჩვევენ იმას, რომ კარგი წიგნი სჯობს ექსტრავაგანტურ კაბა-კუბას, არამედ ვითომ პრესტიჟის მოსაზრებებით, მომხმარებლურ მადას უღვიძებენ შვილებს.

თავმდაბლობა ყოფა-ცხოვრებაში, მოკრძალება პირად მოთხოვნებში, იმის უნარი, რომ სულიერი, ზნეობრივი ღირებულებანი ამჯობინოს მატერიალურ ღირებულებებს, მუდამ იყო, არის და ყოველთვის იქნება საბჭოთა ადამიანის მთავარი ღირსება.

კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის წარმატება დღეს ბევრად არის დამოკიდებული ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლებაზე, განვითარებული სოციალიზმის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ყველა უპირატესობის ოპტიმალურ გამოყენებაზე.

დღეს ჩვენი მეცნიერული, პედაგოგიური, ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია ბევრად განსაზღვრავს რესპუბლიკის სულიერ განვითარებას, მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის, ღირებულებითი ორიენტაციების, ზნეობრივი პოზიციების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით სერიოზული ამოცანები დგას დღეს ჩვენი უმაღლესი სკოლის წინაშე. როგორც სამართლიანად აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის XVII პლენუმზე, იგი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტის თეორიული, პროფესიული და პოლიტიკური ცოდნის სათანადო დონეს, ვერ ამზადებს მათ პრაქტიკული მუშაობისათვის, შრომითი კოლექტივების ცხოვრებისა და საქმიანობის მართვისათვის, დიდმნიშვნელოვანი სამეცნიერო-საწარმოო პრობლემების გადაწყვეტისათვის. ამით და ახალგაზრდობის ცხოვრებისა და შრომის ჯეროვანი პირობების შექმნის ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი პრობლემებით შეიძლება აიხსნას ის რთული მდგომარეობა, რომელიც სამუშაო ადგილას ახალგაზრდა სპეციალისტთა შენარჩუნების საქმეში შეიქმნა.

ამავე დროს განვითარებული სოციალიზმის პირობებშიც კი ჯერ კიდევ არ არის წაშლილი განსხვავება გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის, ჩვენს საზოგადოებრივ წარმოებაში ჯერ კიდევ დიდია ხელის, ფიზიკური შრომის წილი. ამის გამო ჩვენს სახელმწიფოს ჯერ კიდევ სჭირდება მუშის მარჯვე ხელი. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო უკეთ უნდა ვიმუშაოთ ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის, გავაუმჯობესოთ სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის საქმიანობა, ავამაღლოთ მასობრივ პროფესიათა მუშების პრესტიჟი და ავტორიტეტი. დღეს ფრიად საჭიროა, რომ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები დღენიადაგ ზრუნავდნენ, რათა ახალგაზრდებმა, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ვერ მოხვდნენ, გული არ გაიტეხონ და იპოვონ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში, ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელ კოლექტივებში. ეს უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივ-პოლიტიკური პრობლემაა, ვინაიდან საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაზრისითაც და თვით ახალგაზრდის პიროვნების სოციალური ჩამოყალიბების თვალსაზრისითაც სჯობს კვალიფიციური მუშა, მექანიზატორი, მხვნელ-მთესველი, მევენახე გვყავდეს, ვიდრე საყველ-პუროდ ნასწავლი სპეციალისტი, რომელიც უპატიოსნო გზით შევიდა უმაღლეს სასწავლებელში, უპატიოსნო ხერხებით მიიღო დიპლომი და, მაშასადამე, უპატიოსნოდ განაგრძობს თავის ცხოვრებას. ასეთმა სპეციალისტმა, თავისი პროფესიული უვიცობისა და უპერსპექტივობის გამო, შეიძლება უკანონო და უზნეო საქციელი ჩაიდინოს საკუთარი კეთილდღეობის, „თბილი ადგილისა“ და გამდიდრების გულისთვის.

კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას, ჩვენთვის უცხო ზნეობრივ-პოლიტიკური შეხედულებებისა და ორიენტაციის მატარებლებზე იდეოლოგიურ ზემოქმედებას დღეს არავითარი შედეგი არ მოჰყვება, თუ დღენიადაგ არ ვიზრუნებთ თითოეული ადამიანის კულტურის დონის ამაღლებისათვის. „კულტურა, — წერდა ნ. კ. კრუპსკაია, — ცემენტია, რომელიც ყველა მიღწევას ადუღაბებს. სოციალიზმი წარმოუდგენელია კულტურის უდიდესი აღმავლობის გარეშე“.

მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით, პიროვნების კულტურა — ეს არის ადამიანის თვისებათა მთელი სისტემა, რომელიც შეიცავს ცოდნას, მრწამსს, სხვადასხვაგვარი პრაქტიკული საქმიანობის ჩვევებს, პიროვნების მიერ ქცევის ნორმების შეთვისებას. პიროვნების ამ თვისებათა ერთობლიობის განვითარებისათვის საკმარისი არ არის მარტოოდენ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და პროპაგანდისტული ღონისძიებანი. აქ აუცილებელია იდეურ-ზნეობრივი ზემოქმედების ისეთი უმნიშვნელოვანესი საშუალებები, როგორიც არის ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებშიც აისახება პოლიტიკური, ფილოსოფიური, ზნეობრივი და ესთეტიკური იდეები.

ლიტერატურისა და ხელოვნების იდეურ-აღმზრდელობითი ძალა ის არის, რომ ღრმად, ყოვლისმხრივ ასახავენ სინამდვილეს ემოციურ-ხატოვანი ფორმით, ასახავენ ცხოვრებას მოწინავე მსოფლმხედველობის პოზიციებიდან, ღრმად სწვდებიან ადამიანის შინაგან სამყაროს, წარმოსახავენ რეალური სამყაროს ზნეობრივ კოლიზიებს, ზნეობრივი არჩევანის სიტუაციებს. ეს კი ზოგჯერ უფრო ეფექტიანია აღზრდის თვალსაზრისით, ვიდრე ათობით ჭკუის სასწავლებელი საუბარი და ლექცია.

მაღალიდეურ, მხატვრულ, პროფესიულად დახვეწილ ნაწარმოებს შეუძლია გამოააშკარაოს ადამიანთა ქცევის ისეთი ფარული მოტივები, გვიჩვენოს ადამიანის ისეთი ფსიქოლოგიური თვისებები, რომელთა წარმოჩენის უნარი სოციალური სინამდვილის ასახვის არც ერთ სხვა საშუალებას არ გააჩნია. მაგალითისათვის შეიძლება გამოდგეს თუნდაც ო. იოსელიანის ფილმი „გიორგობისთვე“, სადაც პირველად ასე მწვავედ, ასე მკაფიოდ, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით აჟღერდა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის თემა. ამ ნაწარმოებმა ასახა ზნეობრივი კრიტერიუმების ძიება თანამედროვის მხატვრული სახის შემეცნებაში და თავისი მთლიანობით, სისპეტაკით, შთამაგონებლობით, მაღალი პროფესიული დონით გვიჩვენა, თუ რაოდენ მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ხელოვნება ცხოვრებასთან და რაოდენ ბასრ იდეურ იარაღად შეიძლება გადაიქცეს იგი ნიჭიერი და მოაზროვნე ხელოვნის ხელში.

სასიხარულოა, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში იგრძნობა ადამიანში ადამიანურის აღორძინებისათვის ბრძოლაში მწერლების, პოეტების, დრამატურგების, მხატვრებისა და კინემატოგრაფისტების აქტიური მრავალასპექტიანი ჩარევის ტენდენცია.

ჩვენი შემოქმედი ინტელიგენცია სულ უფრო აქტიურად და ღრმად წარმართავს საზოგადოებრივ აზრს, ქმნის ადამიანთა ჯანსაღ განწყობილებას, თავის შემოქმედებაში ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებს, ჩვენი სოციალური და სულიერი განვითარების ტიპურ ტენდენციებს, ეს კი დღეს უცხო იდეოლოგიისა და მორალის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის, ადამიანთა სოციალური აზრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ხდება.

ამავე დროს იდეოლოგიური მუშაობის, საბჭოთა ადამიანის ზნეობრივ-პოლიტიკური სრულყოფის თანამედროვე ამოცანები მოითხოვს მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების შეტევითობის, პოლიტიკური ჟღერადობის დასახული პროცესის გაღრმავება-გაფართოებას.

კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა რთული, მრავალმხრივი და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მეცნიერულად დასაბუთებულ კომპლექსურ მართვას მოითხოვს.

გამოცდილება გვარწმუნებს, რომ დღეს საჭიროა შევიმუშაოთ ბრძოლის ისეთი საშუალებები, რომლებიც სისტემატურად მოიცავენ საზოგადოებრივი ორგანიზმის ყველა სფეროსა და დონეს, გაითვალისწინებენ საზოგადოებრივი განვითარების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, და სულიერ-კულტურული ფაქტორების ურთიერთმოქმედების ხასიათს. და ასეთ საშუალებათა შემუშავებაში ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვან მეცნიერმა ეკონომისტებმა, ფილოსოფოსებმა, სოციოლოგებმა, ფსიქოლოგებმა, იურისტებმა, რომლებიც ამ პრობლემებზე მუშაობენ, მაგრამ ღონისძიებათა ჯეროვანი კოორდინაციის გარეშე მუშაობენ და მხოლოდ თავიანთ ლოკალურ კვლევითს ამოცანებს წყვეტენ.

დღეს კი უაღრესად საჭიროა სისტემურად მივუდგეთ იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მეცნიერულ პრობლემებს, და ეს საგანგებოდ აღინიშნა სკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის დადგენილებაში.

კერძომესაკუთრული ტენდენციების ამოძირკვის სხვადასხვა ფორმასთან და მეთოდთან ერთად დადებითი შეფასების ღირსია ორი წლის წინათ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებთან, პარტიულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან შექმნილი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების საქმიანობა. როგორც ჩანს, დროა გავაანალიზოთ და განვსაზღვროთ მათი მუშაობა და ამავე დროს განვავითაროთ და გავაღრმავოთ იგი ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის ახალი ამოცანების, იდეოლოგიური მუშაობის დაყენებისადმი ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

მკაფიოდ უნდა შევიგნოთ, რომ კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა — ეს პოლიტიკური, კლასობრივი ბრძოლაა და, მაშასადამე, ვერავითარ კომპრომისს, ვერავითარ პასიურობას ვერ შეურიგდება. იგი მოითხოვს ყველა მშრომელის აქტიურ ხელშეწყობას, რისთვისაც უწინარეს ყოვლისა უნდა სრულვყოთ თითოეული პარტიული ორგანიზაციის, თითოეული პარტიული რგოლის პოლიტიკურ-ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ყველგან დავამკვიდროთ პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ჭეშმარიტად ლენინური ნორმები. ჩვენი საზოგადოება დარაზმულია ამ ბრძოლისათვის, რესპუბლიკაში ახლა შექმნილია ყველა პირობა მისი კეთილნაყოფიერი განვითარებისა და დამთავრებისათვის. ამას მოწმობს თვით ასეთი კონფერენციის მოწყობის ფაქტი და მის მომზადებაში მეცნიერთა და სპეციალისტთა ფართო წრის, პარტიული კომიტეტების, შრომითი კოლექტივების, ადმინისტრაციული ორგანოების კოლექტიური მონაწილეობა.

დასასრულ ამხ. ენუქიძემ თქვა: ჩვენი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის დასკვნები და რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციებს, იდეოლოგიურ დაწესებულებებს, სასწავლებლებს, შრომით კოლექტივებს კიდევ უფრო გამიზნულად ებრძოლონ კერძომესაკუთრულ ტენდენციებს, კიდევ უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მტკიცე კურსს, რომლის მიზანია აღვკვეთოთ ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც აბრკოლებს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროგრესს, სკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, მთელი ჩვენი საქმენი და ზრახვანი მიზნად უნდა ისახავდეს სოციალისტური ცხოვრების წესის სრულყოფას.

კონფერენციის მონაწილეთა გამოსვლებში გაშუქებული იყო კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა ასპექტი და პრობლემა, როგორიც არის იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გარდაქმნა პარტიულობის, კლასობრიობის, მეცნიერულობის, ალალმართლობის ლენინური პრინციპების საფუძველზე, პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ფორმების განვითარება და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება, ანგარებითი დანაშაულობების აღკვეთის, პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის სამართალდამცველი ორგანოების მუშაობის სრულყოფა, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება, თითოეულ შრომით კოლექტივში ჯანსაღი, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა, მასობრივი ინფორმაციის ორგანოების როლი, საზოგადოების ყველა წევრისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის მოქალაქეობრივ პოზიციათა ჩამოყალიბება, სოციალისტური ეკონომიკის ბერკეტების ეფექტიანი გამოყენება, სამეურნეო მექანიზმისა და მართვის სრულყოფა.

კონფერენციის დახურვისას გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, რომელმაც აღნიშნა, თუ რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს კონფერენციას საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მთელი საქმიანობისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ მისი ბრძოლისათვის, მან დასახა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღების მთავარი გზები, საგანგებოდ გაუსვა ხაზი, რომ პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების, შემოქმედებითი ორგანიზაციების კოლექტივებმა კონკრეტული კომპლექსური ღონისძიებანი უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ რესპუბლიკაში მთელი ამ საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

(საქინფორმი).

მშვიდობისა და აღმშენებლობის კურსით

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა ახალი ძალით ცხადყო სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება, საბჭოთა ადამიანების მონოლითური შეკავშირება მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. უდიდესი პოლიტიკური მოვლენა გახდა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მოსკოვის ბაუმანის ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე, რომელშიც ღრმად არის გაანალიზებული ჩვენი მიღწევები, საერთაშორისო ვითარება, განსაზღვრულია კომუნისტური მშენებლობის საკვანძო ამოცანები.

პარტიულმა კომიტეტებმა აქტიური მუშაობა გააჩაღეს ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის პროპაგანდისათვის. ერთიანი პოლიტდღეების ორგანიზატორთა, ლექტორთა, აგიტატორთა და პოლიტინფორმატორთა დასახმარებლად ქვეყნდება მოხსენებების, ლექციებისა და საუბრების სანიმუშო თემატიკა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ნაცადი ავანგარდი, მასების ორგანიზატორი და აღმზრდელია.

პარტია ჩვენი მესაჭეა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ამომრჩეველთა წინაშე ჩვენი საბრძოლო პროგრამაა.

არჩევნების შედეგები მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას.

საბჭოები ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლებაა.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ურყეობა.

მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის განუყრელი კავშირი.

ჩვენი ძლიერების წყაროა ლენინური მეგობრობა.

საბჭოთა ხალხის შეკავშირება სამშობლოს ძლიერების საიმედო საძირკველია.

საბჭოთა ეკონომიკის წარმატებანი სამოცდაათიან წლებში.

ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი.

სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამა განუხრელად სრულდება.

საბინაო მშენებლობა სსრ კავშირში.

რუსეთის ფედერაციის მშრომელთა წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესში.

სამეურნეო მექანიზმი მომწიფებული სოციალიზმის ეკონომიკის მოთხოვნათა დონეზე.

ეფექტიანობა და ხარისხი — ყოველ სამუშაო ადგილზე.

ვადამდე ავაშენოთ — ვადამდე ავითვისოთ!

სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსს — დაჩქარებული განვითარება.

მანქანათმშენებლობის როლი ქვეყნის ტექნიკურ პროგრესში.

სრულვყოთ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია!

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს ზუსტი ორგანიზაცია და მაღალი ხარისხი.

ეფექტიანი მუშაობა ხალხის კეთილდღეობის საფუძველია.

მაღალი პასუხისმგებლობა და დისციპლინა ჩვენი უმნიშვნელოვანესი რეზერვია.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები დიდი ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე დგანან.

საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანი მომავალი საიმედოდ არის უზრუნველყოფილი.

დიდი გამარჯვების 35-ე წლისთავი.

ომის ვეტერანებს — მზრუნველობა და ყურადღება.

სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამშრომლობა — ეს არის ხორცშესხმული ინტერნაციონალიზმი.

ერთიანი მწყობრით — საერთო მიზნისაკენ.

ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია სოციალიზმის მონაპოვართა საიმედო დამცველი ფარია.

საბჭოთა ადამიანების სოლიდარობა ვიეტნამის, ლაოსისა და კამპუჩიის ხალხებისადმი.

ავღანეთის რევოლუციური ხალხისადმი დახმარება ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობაა.

მშვიდობის ლენინური სტრატეგია.

მშვიდობის პროგრამა მოქმედებს.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესის დროშაა.

აგრესიული მილიტარისტული ძალების ხრიკების მტკიცე უკუგდება ყველა იმათგანის ვალია, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა.

კაპიტალიზმი უუფლებობის საზოგადოებაა.

პეკინელი ჰეგემონისტები იმპერიალიზმის დამქაშები არიან.

დაძაბულობის შენელება, განიარაღებისათვის ბრძოლა დროის მოთხოვნა, ხალხების ნება-სურვილია.

ლენინიზმი კომუნიზმის გზას გვინათებს.

ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს.

ჩავუნერგოთ ყოველ საბჭოთა ადამიანს კომუნისტური იდეურობა, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.

ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად!

ჩვენი ნაყოფიერი შრომა — სამშობლოს საკეთილდღეოდ, კომუნიზმის სადიდებლად.

ღირსეულად შევხვდეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს.

საპატიო ლენინური სიგელი ხუთწლედის გვარდიელთა მაღალი ჯილდოა.

წითელდროშოვანი კოლექტივების მოწინავე გამოცდილება უნდა დაინერგოს.

მეათე ხუთწლედს — დამკვრელური ფინიში.

პრეტენდენტთა მატჩები

თბილისში

რა სიურპრიზი მოუმზადეს მეტოქეებმა ერთმანეთს?

გაფრინდაშვილის პირველი სვლა — ლაზიერისწინა პაიკი ორ უჯრაზე მოულოდნელი არ ყოფილა. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონს, როგორც მისმა მრავალწლიანმა პრაქტიკამ გვიჩვენა, დასაწყისში შეუძლია როგორც ღია, ისე დახურულ დებიუტს მიმართოს, რაც ძირითადად მის განწყობილებაზეა დამოკიდებული. გურიელის მიერ ჰოლანდიური დაცვის არჩევაც არ ყოფილა მოულოდნელი — ეს დებიუტი შეეფერება მის საბრძოლო სტილს. ამ ზიერის გაცვლის შემდეგ მისმა გამსვლელმა პაიკმა მშვიდად ჰორიზონტალს მიაღწია. მალე მსოფლიოს ექსჩემპიონს ორი ზედმეტი პაიკი დარჩა და თანაც შავები დროის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ.

გაფრინდაშვილი — გურიელი

პირველი პარტია

ჰოლანდიური დაცვა

1. d4 f5 2. g3 მf6 3. კg2 g6 4. მf3 კg7 5. 0-0 0-0 6. d5 c6 7. c4 d6 8. მd4 ლc7 9. მc3 e5 10. de მa6 11. კf4 მh5 12. მdb5

ლa5 13. e7 ეe8 14. კ:d6 cb 15. ლd5+ მფh8 16. ლ:b5 ლ:b5 17. cd მc7 18. კ:c7 ე:e7 19. კd6 ეe6 20. კb4 მf6 21. ეad1 ეe8 22. ეd3 მe4 23. მd5 ეb8 24. მc7 ეg8 25. f3 მg5 26. b3 მe6 27. ეc1 მ:c7 28. ე:c7 ეe8 29. f4 h5 30. მფf2 a5 31. კ:a5 ეa8 32. კc3 კ:c3 33. ეd:c3. შავები დანებდნენ.

დებიუტის შემდეგ შექმნილი პოზიციები მწვავე და რთული თამაშის მომასწავებელია.

უკვე მეექვსე სვლაზე გაფრინდაშვილმა თეორიაში ცნობილი, მაგრამ ნაკლებად გავრცელებული გაგრძელება აირჩია. შესაძლოა, გურიელი ამ სვლას არ ელოდა, ყოველ შემთხვევაში, მან შემდეგში აშკარად მცდარი გეგმა აირჩია. მე-12 სვლაზე მსოფლიოს ექსჩემპიონმა მეტოქეს მხედრის შეწირვა შესთავაზა. 44 წუთის(!) ფიქრის შემდეგ გურიელმა არ მიიღო ეს შეწირვა, მაგრამ მისი მდგომარეობა მაინც არ შემსუბუქებულა. გაფრინდაშვილმა ძლიერად წარმართა იერიში. ლა-

ამრიგად ანგარიში გახდა 1:0 გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.

გ. გამრეკელი.

* * *

სურათზე: თამაშობენ ნ. გაფრინდაშვილი და ნ. გურიელი.

ს. კილაძის ფოტო.

კისლოვოდსკში

მატჩის პირველ შეხვედრაში, რომელშიც ალექსანდრია თეთრებით თამაშობდა, გათამაშდა ესპანური პარტია. ბრძოლას მკაცრი მანევრული ხასიათი ჰქონდა. შუა თამაშში შეიქმნა რთული პოზიცია ორმხრივი შესაძლებლობებით. თეთრებმა ორი კუს უპირატესობა მიიღეს, მაგრამ ამას არ ჰქონდა რეალური მნიშვნელობა. 26-ე სვლაზე ახმილოვსკაიამ მოიგო პაიკი, მაგრამ პოზიცია მეტად მწვავე იყო, ამასთან კრასნოიარსკელ მოჭადრაკეს უკანასკნელ 15 სვლაზე მოსაფიქრებლად 15 წუთიღა დარჩა. პარტიის დასკვნითი ნაწილი ალექსანდრიამ ჩინებულად წარმართა. ოთხივე ეტლისა და ლაზიერის გაცვლის შემდეგ თამაში გაიხსნა.

პარტია გადაიდო. თეთრების გამსვლელმა პაიკმა მეექვსე ჰორიზონტალს მიაღწია. ახმილოვსკაიას აშკარად უარესი პოზიცია აქვს.

ალექსანდრია — ახმილოვსკაია

პირველი პარტია

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0-0 კe7 6. ეe1 b5 7. კb3 d6 8. c3 0-0 9. d4 კg4 10. კe3 ed 11. cd d5 12. e5 მe4 13. მbd2 მ:d2 14. ლ:d2 ლd7 15. a3 კ:f3 16. gf მd8 17. მფh1 f5 18. ეac1 მe6 19. f4 c6 20. ეc2 ეac8 21. ლe2 კd8 22. ლf3 კb6 23. ეd1 მფh8 24. ლh3 ეc7 25. ეcd2 g5 26. f3 gf 27. კf2 ეcc8 28. კc2 ლf7 29. ეg1 კd8 30. ეg2 კe7 31. ეd1 მg5 32. ლh6 ეg8 33. ეdg1 მe6 34. ე:g8+ ე:g8 35. ე:g8+ მფ:g8 36. ლh3 მg5 37. ლ:f5 ლ:f5 38. კ:f5 მf3 39. კd7 c5 40. dc მ:e5 41. c6

ამ მდგომარეობაში ახმილოვსკაიამ ჩაიწერა 41-ე სვლა.

ეს პარტია დღეს დამთავრდება.

უკანასკნელ საათს

თბილისი. მეორე პარტიაში გურიელმა თამაში დაიწყო ლაზიერის წინა პაიკით, რაზედაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა უპასუხა ე. წ. ვოლგის გამბიტით. სასტიკ ცაიტნოტში გურიელი შეცდა, წაგო ლაზიერი და 34-ე სვლაზე შეწყვიტა წინააღმდეგობა. ანგარიში გახდა 2:0 გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. მორიგი მესამე პარტია ხვალისათვის არის დანიშნული.

კისლოვოდსკი. მეორე პარტიაში გათამაშდა სლავური დაცვა. დიდხანს პოზიცია დაახლოებით თანაბარი იყო. შემდეგში ალექსანდრიამ ხარისხი შეწირა პაიკში. გაიცვალა ლაზიერები. ახმილოვსკაიამ გადადებულ პარტიაში შეინარჩუნა მცირე მატერიალური უპირატესობა. დღეს მეტოქეები დაამთავრებენ ორივე გადადებულ პარტიას.

საბჭოთა სპორტი ორბიტა

სპორტის ორბიტა

ციგურებით რბოლა. ჰოლანდის ქალაქ ხერენვინში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი. მრავალჭიდში ყველას აჯობა ჰოლანდიელმა ხილბერტ ვან დერ დიუიმ. ამერიკელი ერიკ ხაიდენი მეორე ადგილზე გავიდა.

მძლეოსნობა. ლენინგრადში დამთავრდა საბჭოთა და ამერიკელ სპორტსმენთა მატჩი ზამთრის შეიდჭიდში. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა. პირადში საუკეთესო შედეგი ჰქონდა გომელის უნივერსიტეტის სტუდენტს ა. ნევსკის — 6.043 ქულა.

ზინდელფინგენში (გფრ) დამთავრებულ ევროპის ზამთრის ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველი ადგილი მოიპოვეს ნ. ჩერნეცკიმ (400 მ რბენაში), თამარ კობამ (1500 მ რბენაში), ქ. ვოლკოვმა (ჭოკით ხტომაში) და ი. ჩერვანევმა (60 მ თარჯრბენში).

ჭადრაკი. ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში დაწინაურდა საბჭოთა მოჭადრაკე ვ. კუპრეიჩიკი. მას შვიდი ტურის შემდეგ 5,5 ქულა აქვს.

სროლა. ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში. საბჭოთა სპორტსმენებმა აქ 13 ოქროს, 5 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ყაზახი, თასისთვის ბრძოლა მწვავდება

ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების თბილის-რუსთავის ზონაში (მეოთხე) ჯგუფური ტურნირის მეორე დღის შეხვედრათა შედეგები უკვე ვიცით. თბილისის დინამოელები ქულათა მაქსიმუმით ლიდერობენ. ქუთაისის „ტორპედოს", ალმა-ათის „ყაირატსა" და ოდესის არმიელებს 2-2 ქულა აქვთ. ორჯონიკიძის „სპარტაკსა" და ხაბაროვსკის არმიელთა კოლექტივს თითო ქულა. დანარჩენ ზონებში მეორე ტურის მატჩები ასე დამთავრდა:

პირველი ზონა. სოჭი. „ყუბანი"-„მეტალისტი" — 1:2, „კრ. სოვეტოვი"-„ზენიტი" — 1:0, „ფაკელი"-მოსკოვის „სპარტაკი" — 3:0. ლიდერია „მეტალისტი" — 3 ქულა. შარშანდელი ჩემპიონი —მოსკოვის „სპარტაკი" 1 ქულით ბოლო ადგილზეა. დანარჩენ გუნდებს 2-2 ქულა აქვთ.

მესამე. უჟგოროდი. „დნეპრი"-„ნისტრუ" — 1:3, კიევის „დინამო"-ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკი" — 2:0, „ლოკომოტივი"-„კარპატი" — 0:1. ოთხ-ოთხი ქულით ლიდერობენ კიევის „დინამო" და „კარპატი".

მეხუთე. ბაქო. „ქალგირისი"-„თერგი" — 2:0, „ზვეზდა"-„ნეფთჩი" — 0:1, ლენინგრადის „დინამო"-მინსკის „დინამო" — 0:3. ოთხ-ოთხი ქულით ლიდერობენ მინსკის „დინამო" და „ნეფთჩი".

მეექვსე. ერევანი. „შინიკი"-„ისკრა" — 3:1, „მეტალურგი"-მოსკოვის „ტორპედო" — 0:1, „ქიმიკოსი"-„არარატი" — 2:4. ოთხი ქულით ლიდერობს „არარატი", „ტორპედოს" სამი ქულა აქვს.

მეშვიდე. დუშანბე. „ურალმაში"-„გურია" — 2:1, „პამირი"-დონის როსტოვის ასკ — 0:0, „კოლხოზჩი"-ცსკა — 0:2. ოთხი ქულით ლიდერობს ცსკა. სამ-სამი ქულა აქვთ როსტოვის არმიელებს და „პამირს". „გურიას" ჯერ ერთი ქულაც არ მოუპოვებია.

მერვე. ფერგანა. „ბუსტონი"-სტავროპოლის „დინამო" — 3:0, „ფახთაქორი"-„ტრაქტორი" — 2:3. სამ-სამი ქულით ლიდერობენ „ტრაქტორი" და „ბუსტონი".

მეორე ზონაში (სამარყანდი) უკვე მესამე ტურის მატჩები გაიმართა. შედეგები ასეთია: „მახტიორი"-ნალჩიკის „სპარტაკი" — 2:0, „ტავრია"-„ზარია" — 3:1, „ჩერნომორეცი"-„კუზბასი" — 2:1. ქულათა მაქსიმუმით (6) ლიდერობს „შახტიორი". მეორე ადგილზეა „ჩერნომორეცი".

წყალბურთელთა საკავშირო...

ერთი დღეც და თბილისში მიმდინარე წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრდება. კვირას მეცხრე ტურში თბილისის „დინამომ", მართალია რომ, დიდებულად ითამაშა, ამ დღეს მისი მეტოქე იყო გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის ბაქოელთა კოლექტივი. მასპინძლებმა შეძლეს ძლიერი გუნდის დამარცხება ანგარიშით დამაჯერებელი (8:3) და სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესება. გუშინ გაიმართა მეათე ტურის მატჩები. ამჯერად თბილისის დინამოელები შეხვდნენ ალმა-ათის თანაკლუბელებს. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 7:6.

მეცხრე და მეათე ტურის დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: სსფ ცსკ-მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 7:6, კიევის „დინამო"-ლვოვის „დინამო" 10:7, ალმა-ათის „დინამო"-ტაშკენტის „მეხნატი" — 8:6, მოსკოვის „დინამო"-მოსკოვის უნივერსიტეტი — 6:7, ვოლგოგრადის „სპარტაკი"-მოსკოვის „მოსკვიჩი" — 0:3; კიევ (ბაქო)-ფიზკულტურის ინსტიტუტი — 8:6, ლვოვის „დინამო"-„მეხნატი" — 4:4, უნივერსიტეტი — „სპარტაკი" — 12:5, „მოსკვიჩი"-კიევის „დინამო" — 5:7, სსფ ცსკ-მოსკოვის „დინამო" — 3:2.

დღეისათვის გათამაშების ცხრილის პირველ ექვსეულში არიან: სსფ ცსკ — 17 ქულა, კფფ (ბაქო) 15, უნივერსიტეტი და ალმა-ათის „დინამო" — 13-13, მოსკოვის „დინამო" და თბილისის „დინამო" — 12-12.

რედაქტორი **გ. ბედინეიშვილი**

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

გვატყობინებენ საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუდაპეშტი. აქ გაიმართა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა და მოიწონა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის ინფორმაცია პარტიის XII ყრილობისათვის მზადების შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის 24 მარტს გაიხსნება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს მზადება წარმატებით მიმდინარეობს. კომუნისტებმა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით შეაჯამეს განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის შედეგები, განიხილეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საყრილობო თეზისები.

პლენუმმა განიხილა აქტუალური საერთაშორისო საკითხები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკამ, რომლის მიზანია მშვიდობის საფრთხის აღკვეთა, დაძაბულობის შენელების პროცესის შენარჩუნება და განმტკიცება, მკაფიო გამოხატულება პოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

აღინიშნა, რომ იმპერიალისტური ძალების ძირგამომთხრელი საქმიანობის შედეგად მსოფლიოში დაიძაბა ვითარება, საფრთხე შექმნა დაძაბულობის შენელების მიღწევებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი კურსი და მისი ადმინისტრაციის მიერ გაჩაღებული ანტისაბჭოური აჟიოტაჟი იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი ინტერნაციონალისტურ დახმარებას უწევს ავღანელ ხალხს, მხოლოდ აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას. საბჭოთა კავშირის დახმარება ავღანეთის რევოლუციის ძალებისადმი, რომლებიც სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან და იცავენ თავიანთ მონაპოვრებს გარედან ჩარევისაგან, გაწეულია კანონიერ საფუძველზე, ორი ქვეყნის ხელშეკრულებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

მოისმინეს აგრეთვე ინფორმაცია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1981-1985 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შემუშავების შესახებ.

გამარჯვებების საიმედო გარანტია

ჰანოი. ჩვენ უღრმეს მადლობას ვუძღვნით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ვიეტნამის რევოლუციური საქმის გადამწყვეტი მხარდაჭერისათვის, განაცხადა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა დელეგაციასთან შეხვედრაზე, რომელსაც საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ქ. ი. მაცკიავიჩიუსი მეთაურობს. ეს მხარდაჭერა, ხაზი გაუსვა ფამ ვან დონგმა, გამხნევების მძლავრი წყაროა ვიეტნამელი ხალხისათვის, რომელიც სოციალიზმის აშენებისათვის იბრძვის. იგი უზრუნველყოფს სოციალისტური სამშობლოს საიმედო დაცვას.

ფამ ვან დონგმა მაღალი შეფასება მისცა განცხადებებს საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებზე, რომლებსაც შეიცავდა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ამომრჩეველთა წინაშე არჩევნებისწინა კრებაზე. ჩვენ, თქვა პრემიერ-მინისტრმა, მხურვალედ მივესალმებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის განცხადებას ავღანეთის ამბების გამო. ეს განცხადება პრინციპულია, გამოირჩევა სიმტკიცით, უდიდესი დამარწმუნებელი ძალა აქვს და დედამიწის ყველა მშვიდობისმოყვარე და პატიოსანი ადამიანის კმაყოფილებას იწვევს. იგი უაღრესი სიცხადით, მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და რევოლუციური ძალების ბურჯია მთელ მსოფლიოში.

სსრ კავშირის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ზრდა და განმტკიცება, თქვა შემდეგ პრემიერ-მინისტრმა, ვიეტნამის რევოლუციის გამარჯვებათა საიმედო გარანტიაა. ყველაფერი, რასაც მივაღწიეთ, ხაზი გაუსვა მან, მთელი ჩვენი წარმატებები და მიღწევები განუყოფელია ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისაგან, საბჭოთა კავშირთან მეგობრობის შემდგომი განმტკიცება ჩვენი პოლიტიკური კურსია, იდეოლოგიური ხაზია, ვიეტნამელი ხალხის ღირსების საქმეა.

ფამ ვან დონგმა გულწრფელი მადლობა უძღვნა საბჭოთა ხალხს ვიეტნამელი ძმებისადმი საჩუქრისათვის — ქსოვილების, ტანსაცმლის, საშენი მასალების, სხვადასხვა მოწყობილობისა და სასკოლო ნივთებისათვის, რომლებიც შეძენილია ვ. ი. ლენინის დაბადების 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაზე გამომუშავებული სახსრებით.

აგრესიის წინააღმდეგ

დელი. 3 მარტი. 1 მარტს ინდოეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით დაიწყო აზიაში ვაშინგტონის, ისლამაბადისა და პეკინის აგრესიული გეგმების წინააღმდეგ ბრძოლის საერთო-ეროვნული კვირეული. კომპარტიის მოწოდებით, მთელ ქვეყანაში მოეწყობა მასობრივი მიტინგები და კრებები. ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის მიზანია ამხილოს ამერიკული იმპერიალიზმისა და მისი ხელშემწყობი პეკინის ხრიკები სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე. ჩვენს მრავალმილიონიან ინდოელ ხალხს ანტისაბჭოურობის პოლიტიკის, „ცივი ომის" აღორძინების დამღუპველი შედეგები.

მოკლედ ყოველი მხრიდან

3 მარტი

ანკარა. ფასების რეკორდული ზრდა აღინიშნა თურქეთში მიმდინარე წლის იანვარში. როგორც ანკარის დეპეშათა სააგენტო იუწყება, საქონლის საბითუმო ფასები 9 პროცენტით და მეტად გაიზარდა. სიძვირის ახალი ტალღა, რომელმაც თურქული ლირის ამასწინანდელი დიდი დევალვაციის შემდეგ გადაუარა თურქეთს, მშრომელთა ფართო მასების აღშფოთებას იწვევს. ქვეყნის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში კვლავ მიტინგებსა და დემონსტრაციებს მართავენ მუშები და გლეხები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ფასების ზრდისა და მშრომელთა ცხოვრების დონეზე მონოპოლიების შეტევის წინააღმდეგ.

ალჟირი. აგრარული რეფორმა, რომელიც ალჟირში ხორციელდება, არსებითად ცვლის ალჟირის სოფლის ყოფა-ცხოვრებასა და იერსახეს. ქვეყანაში ხორცს ისხამს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებული გლეხობისათვის ახალი სოფლების მშენებლობის პროგრამა. მარტო უკანასკნელ წლებში ტლემსენის ვილაიაში დამთავრდა კიდევ 7 დასახლების მშენებლობა, რომლებსაც აქ სანიმუშო სოციალისტურ სოფლებს უწოდებენ. თითოეულ მათგანში იქნება ელექტროდენი, წყალსადენი, სკოლა, სამედიცინო პუნქტი. ოფიციალური მონაცემებით, ალჟირში ახლა უკვე დასახლებულია და შენდება 250-დე სანიმუშო სოციალისტური სოფელი. მათი მშენებლობის მთელ ხარჯებს სახელმწიფო კისრულობს.

გამოაშკარავებულია შეთქმულება

ანტანანარივუ, 3 მარტი. მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა დ. რაცირაკამ გამოაცხადა, რომ გამოაშკარავებულია ფართო იმპერიალისტური შეთქმულება ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ.

მან თქვა, რომ პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იყო ოპერაცია „მაფიადის" („მძლავრი დარტყმა") საკოდო სახელწოდებით, სახელდობრ აპირებდნენ დივერსიისა და საბოტაჟის აქტების მოწყობას უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ობიექტების წინააღმდეგ, რათა ხელოვნურად დაებრკოლებინათ ბრინჯის, ბენზინის მომარაგება, გაეჩერებინათ რკინიგზის ტრანსპორტი.

მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იმპერიალისტურ წრეებს განზრახული აქვთ ფიზიკურად მოსპონ სახელმწიფოს მეთაური.

ფოტოინფორმაცია

სამხედრო-სამოქალაქო ხუნტის სინდისზეა ათობით დახოცილი და ასობით დაჭრილი სალვადორელი, რომლებმაც მოითხოვეს ქვეყნის დემოკრატიზაცია, სამოქალაქო თავისუფლებანი, აგრარული რეფორმა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

* * *

სურათზე: თავიანთი უფლებებისათვის მებრძოლ მშრომელთა მასობრივი დემონსტრაცია სან-სალვადორში.

საქდესის ფოტოქრონიკა.

დაშინებისა და სიყალბის ვითარებაში

ლონდონი, 3 მარტი. ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მ. ტეტჩერმა თემთა პალატაში გამოსვლისას განაცხადა, რომ ინგლისის ხელისუფალნი ერთპიროვნულად გადაწყვეტენ საკითხს, თუ ვის დაევალოს ზიმბაბვეს მომავალი მთავრობის შედგენა. „სულაც არ არის სავალდებულო, — თქვა პრემიერ-მინისტრმა, — რომ მთავრობა შეადგინოს იმ პოლიტიკური პარტიის ლიდერმა, რომელიც როდეზიაში გამარჯვებულ არჩევნებში გაიმარჯვებს". მან აღნიშნა, რომ კანდიდატურას შეარჩევს ბრიტანელი გუბერნატორი ლორდი სოუმსი, რომელსაც „არ ესწავლება, თუ ვის აქვს საუკეთესო შანსები". ტორების მთავრობის მეთაურმა უარყო ოპოზიციის მოთხოვნა — კაბინეტის ჩამოყალიბება დაავალონ იმ პარტიის ხელმძღვანელს, რომელიც უმეტეს ადგილებს მოიპოვებს პარლამენტში, ანუ იმოქმედონ ლონდონის შეთანხმებათა სულისკვეთებით.

განმარტავენ რა ლონდონის დემარშს, მიმომხილველნი იმ დასკვნამდე მიდიან, რომ იგი კვლავინდებურად აპირებს რათაც უნდა დაუჭდეს გაახლოვნებული როდეზიაში თავისი მონა-მორჩილი რეჟიმი.

ტელევიზია

4 მარტი

თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „ჩვენს დიად სამშობლოში" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მისამართი იგივეა — სოფელი", 10.30 — მეექვსეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 16.30 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე. თბილისის „დინამო" — ქუთაისის „ტორპედო" (ფ.), შესვენების დროს — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.15 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 18.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწისქვეშა სასახლეები", 19.00 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (ფ.), 19.25 — „შრომა და დასვენება". სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი, 20.00 — „მოამბე" (ფ.), 20.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა აფხაზეთი" (ფ.), 21.05 — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ფსნი-67". კონცერტი (ფ.), 21.30 — „სპორტული მიმომხილვა" (ფ.). 22.00 — „ვრემია" (ფ.), 22.35 — „იყავი დედა"! (ფ.), 23.15 — ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.20 — მასწავლებლის საათი — ქართული ლიტერატურა (ფ.), 17.05 — კინონარკვევი, 17.15 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.45 — განცხადებები (ფ.), 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.20 — მხატვრული ფილმი „მამა სერგი" (ფ.).

მოსკოვი

პირველი პროგრამით (თბილისის დროით): 09.00 — „ვრემია", 09.40 — დილის ვარჯიში, 10.05 — ვ. დუსილი. „ჩვენი დროის კაცი". ტელესპექტაკლი ჩეხოსლოვაკია). დამთავრების შემდეგ და 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — სოფლის სადაგი დღეები. კინოპროგრამა, 16.20 — ბ. მარტინუ — კონცერტი სიმებიანი კვარტეტისა და ორკესტრისათვის, 16.40 — ბიჭებო. წინ!, 17.40 — კონსტანტინე სერგეევი, ქორეოგრაფიის ფურცლები. მუსიკალური ტელეფილმი, 18.40 — წყალბურთი. სსფ ცსკა — მოსკოვის „დინამო", 19.00 — მეცნიერების ცხოვრება, 19.45 — დღის მსოფლიოში, 20.00 — ადამიანი და კანონი, 20.30 — „მელოდი". მხატვრული ფილმი, 22.00 — „ვრემია", 22.35 დოკუმენტური ეკრანი. დამთავრების შემდეგ — დღის მსოფლიოში.

მეოთხე პროგრამით: 20.00 — ჰოკეი. „სპარტაკი" — ლენინგრადის ასკ. შესვენების დროს (20.40) — „ძილი ნებისა, პატარებო!", 22.00 — კამერული კონცერტი, 22.40 — „დღის და ხვალ". მხატვრული ტელეფილმი. მეორე სერია.

თეატრი

4 მარტი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **აბესალომ და ეთერი**; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჰამლეტ**; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **სიყვარულის მზიანი ვარ...**; ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — **პოეზიის სალამი**; კონსერვატორიის დიდი დარბაზი — კომპოზიტორ **ვ. აზარაშვილის** საავტორო კონცერტი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.



რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმომხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 481-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-41; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის, 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 02088